საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბეჭდვული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 19 იანვარი. 2022 წ. №10 (9348) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

პროფესიონალები საზღვარგარეთ ეძებენ სამუშაოს, ქვეყანაში საშუალო დონის მუშახელიც არ რჩება

ბიზნესს თანამშრომლების პოვნა სულ უფრო უჭირს, პრობლემა თანდათან კრიზისში გადაიზარდა

იხ. 6 გვ.

„პუტინს არ უნდა მოეთხოვა ნატოს წესდების შეცვლა“

2

სოსო ცინცაძე: ვლადიმერ პუტინისთვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავს!

გლახაკის დაბადება არ გაიშვა! – გლახაკი ყველგან გლახაკად რჩება!

3



დაბრუნდა სამშობლოში თვითმფრინავის ჩვეულებრივი რეისით, ამ არაქნებთან ერთად შემოპარულისგან განსხვავებით, კაცურად მივიდა პირდაპირ სასამართლოში და დაიწყო თავისი უდანაშაულობის მტკიცება

სააკაშვილის ციხიდან დახსნა ახლა მხოლოდ სასწაულს შეუძლია

მიხაელ გალერი:

ქართველებო, ახლა შინაომების დრო არ არის!

8

„ნაცმოძრაობის“ ყველა კარტი გაჭრილია...

3

როგორ მოხიბლა ლავრენტი ბერიამ ჰიმლერი და ჰიტლერი

7

დავით ქართველიშვილი:

რასმუსენის ფორმულა წმინდა წყლის სისულელეა!

4

„დირექტორის“ ოინები

ლაშა ბაქრაძევ, ბარემ შეცდომების გასწორება გამოგეშვა ცალკე წიგნად!

5

ნინო ფოჩხუა: ებრძვიან წულუკიანს ქვეყნის სტაბილურობის მტრები, როგორ გაბედა საკითხის შესწავლაო...

კელი დეგნანს ჩვენი საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობა აუმაღლდა!

აშკარაა, რომ უკვე არსებობს საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობა, რაც ბოლო რამდენიმე არჩევნებზე ვნახეთ. მნიშვნელოვანია, რომ ცესკოს წევრების, განსაკუთრებით კი თავმჯდომარის შერჩევის პროცესი ძალიან გამჭვირვალე და სამართლიანია, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა განაცხადა.

„აშკარაა, რომ უკვე არსებობს საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობა, რაც ბოლო რამდენიმე არჩევნებზე ვნახეთ. მნიშვნელოვანია, რომ ცესკოს წევრების, განსაკუთრებით კი თავმჯდომარის შერჩევის პროცესი ძალიან გამჭვირვალე, სამართლიანია. იმედი გვაქვს, ყველა დაინტერესებული მხარე მიიღებს პროცესში მონაწილეობას. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რომ წვლილი შეიტანონ ამ კანდიდატების შერჩევაში. ეს იქნება ქართველი საზოგადოებისთვის სასარგებლო. მნიშვნელოვანია, რომ არ იყოს სიჩქარე და პროცესი მიუკერძოებელი, სამართლიანი, გამჭვირვალე იყოს“!

თბილისი უსაფრთხოების კონფერენციას მასპინძლობს

თბილისში უსაფრთხოების კონფერენცია გაიხსნა. ღონისძიება რონდელის ფონდის დაარსების 20 წლის და მისი დამფუძნებლის-ალექსანდრე რონდელის 80 წლის იუბილეს ეძღვნება.

კონფერენციაზე რეგიონსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე და მათი მოგვარების გზებზე მსჯელობენ. მოწვეული მომხსენებლები შეეცდებიან პასუხი გასცენ სხვადასხვა მწვავე კითხვას. მათ შორის: აქვს თუ არა დასავლეთს თანმიმდევრული სტრატეგიული ხედვა რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის მიმართ. ღონისძიებას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

რათა სასამართლოები გაძლიერდეს და მართლმსაჯულება ხელმისაწვდომი იყოს

საქართველოს სასამართლოების გაძლიერებისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით, USAID ახალ პროგრამას იწყებს. ორგანიზაციის ცნობით, USAID-საქართველო ითანამშრომლებს საქართველოს პარლამენტთან, სასამართლოებთან, მოსამართლეებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და უნივერსიტეტებთან, რათა ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებით.

USAID-ის სტრატეგიას საქართველოს განვითარების ხელშეწყობისთვის აქვს სამი ძირითადი მიზანი: ქვეყნის მდგრადობის გაზრდა, მოქალაქეზე ორიენტირებული დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. კანონის უზენაესობა უმნიშვნელოვანესია თითოეული ამ მიზნის მისაღწევად.

„თანამშრომლობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან და აკადემიურ წრეებთან USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამისთვის მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჯგუფის ჩართულობა კანონის უზენაესობის განმტკიცებაში. რადგან სწორედ კანონის უზენაესობაა დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების საფუძველი. სასამართლოებთან, ადვოკატთა ასოციაციასთან, მართლმსაჯულების სექტორის სხვა დაწესებულებებთან და სასამართლოსთან მჭიდრო პარტნიორობასთან ერთად USAID ითანამშრომლებს სამოქალაქო საზოგადოებასთანაც. ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ძირითადი ინსტიტუტების ეფექტიანობის და ანგარიშვალდებულების გაზრდას საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაციით, ინოვაციური პროცესების დანერგვით და სხვა სახის აქტივობების განხორციელებით“, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსი – საქართველოში

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი იმყოფება. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გენერალ რაიმუნდ ანდჟეიჟაკს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი მასპინძლობს.

„გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა პოლონეთის მხარეს საქართველოს ურყევი პოლიტიკური მხარდაჭერისა და თავდაცვის სფეროში გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა. გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა პოლონელ კოლეგას საქართველოს თავდაცვის ძალებში განხორციელებული რეფორმები და მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესი გააცნო. მან ყურადღება თავდაცვის ძალების განვითარებაში სხვადასხვა მიმართულებით პოლონეთის მიერ შეტანილ წვლილზე გაამახვილა.

საუბარი შეეხო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების პროცესში აქტიურ ჩართულობას, საქართველოს სამხედრო პოლიციის შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით მჭიდრო პრაქტიკულ თანამშრომლობას, საქართველოსა და პოლონეთის სპეციალური ოპერაციების ძალებს შორის კავშირების მზარდ დინამიკას. შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებზეც იმსჯელეს.



სოსო ცინცაძე: ვლადიმერ პუტინისთვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავს!

„ყველაფერი დამოკიდებულია ამერიკელების პასუხზე. მან მომდევნო კვირას რუსეთის ამ ულტიმატუმს უკვე პასუხი უნდა გასცეს. პასუხი, ფაქტობრივად, ცნობილია, სახელმწიფო მოადგილის გუშინდელი განცხადება მეტყველებს იმაზე, რომ მთავარი მოთხოვნა, რასაც რუსეთი აყენებს, ნატოს არგაფართოებაზე, რაც 1997 წლის 27 მაისის რეალობაში დაბრუნებას გულისხმობს, ეს, უბრალოდ, შეუძლებელია“, – ასე აფასებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში სოსო ცინცაძე თეთრი სახლის პრესსპიკერის განცხადებას, რომ რუსეთის მთავრობა უკრაინაში შეჭრისთვის ემზადება.

„პუტინს არ უნდა მოეთხოვა ნატოს წესდების შეცვლა“

– თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, რუსეთი ცდილობს უკრაინაში შეჭრის ყალბი საბაბი შექმნას. აშშ-ს განცხადებას რუსეთის საელჩო გამოეხმაურა და თქვა, რომ რუსეთი ომის წინააღმდეგია და მხარს უჭერს ყველა საერთაშორისო პრობლემის დიპლომატიურ გადაწყვეტას. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის შესაძლებელი, რომ რუსეთმა უკრაინასთან ომი კიდევ ერთხელ დაიწყოს?

– პუტინმაც მშვენივრად იცის, რომ შეუძლებელს თხოულობს. არის ვერსია, რომ ეს მხოლოდ საბაბია იმისათვის, რომ გაამართლოს თავისი შეჭრა. თუმცა, ეს შეჭრა არ არის ოპერაცია, რაც 2014 წელს ყირიმთან დაკავშირებით განახორციელა, ეს გაცილებით უფრო ძვირი დაუჯდება რუსეთს. ექსპერტები განიხილავენ სხვა ვარიანტსაც – რუსეთი ჯარს და ტექნიკას განალაგებს კუბაზე და ვენესუელაში, რაც ასევე არ არის გამორიცხული.

– როგორ ფიქრობთ, იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი მართლაც გაბედავს უკრაინაში შეჭრას, ეს რამდენად მასშტაბურ ხასიათს მიიღებს და როგორი იქნება მსოფლიო დღის წესრიგი?

– სინამდვილეში მდგომარეობა ძალიან რთულია, რადგან ამერიკას რუსეთთან მარტო უწევს დგომა. ევროპელები მზად არიან მხოლოდ უმტკივნეულო სანქციებისთვის. არც ამერიკა და არც ევროპა ომისათვის მზად არ არის, ხოლო რუსეთი ომისთვის ყოველთვის მზადაა. რასაც რუსეთი გადაიხდის და რა მსხვერპლზეც რუსეთი ადვილად წავა, ამერიკა და ევროპა ამ მსხვერპლზე ვერ წავლენ. პუტინისათვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავს.

რუსეთმა მთელი უკრაინა რომ შეიერთოს, რუსეთის დიდი ნაწილისთვის მისაღებია, თუმცა რუსეთს ეს ძალიან ძვირად დაუჯდება, გამოკითხულთა 40% უკრაინაში მზად არის იარაღით ხელში იბრძოლოს რუსეთის წინააღმდეგ. თანაც, თუ გაჭიანურდა ომი და პარტიზანული ხასიათი მიიღო, განმეორდება რუსეთისთვის ავღანეთის სცენარი, როდესაც დასავლეთი, ნატო, ამერიკა ფართო დახმარებას აღმოუჩენენ უკრაინელ მებრძოლებს.

ალბათ, უფრო მოსალოდნელია ის, რომ პუტინმა ბოლო მომენტში გადაწყვიტოს ისევ ვენესუელასა და კუბაში განათავსოს თავისი სამხედრო პოტენციალი, შეიძლება რაკეტებიც კი. გადამწყვეტი იქნება მომავალი კვირა. პუტინი დარწმუნებულია, რომ დღეს მის მხარეზეა სრული უპირატესობა, რადგან დასავლეთში არ არის თანხმობა. ნებისმიერი ბირთვული სანქციები ეს ორი სრული მახვილია, რომელიც თვითონ ამერიკასაც შეეხება უარყოფითად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ასეთი მწვავე კრიზისი ჯერ არ ყოფილა. ამ დროისთვის რუსეთს უკეთესი პოზიციები გააჩნია.

– რუსეთის მოთხოვნა არის, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია აღარ გაფართოვდეს. თქვენი აზრით, შესაძლოა თუ არა ამერიკა ასეთ დათმობაზე წავიდეს და საქართველოსთვის ნატოს კარი საბოლოოდ დაიხუროს?

– ამერიკა ყველაფერს გააკეთებს, მაგრამ ის, რომ ნატოს წესდება გადასინჯონ, ეს გამორიცხულია. ეს, ფაქტობრივად, ნატოს გაუქმების ტოლფასი იქნება. ახალი მომენტია ის, რომ შვედეთი და ფინეთი ნატოში გაწევრიანებაზე ალაპარაკდნენ. პუტინი სერიოზულ რისკზე მიდის. მისი ვადის გახანგრძლივებისთვის მნიშვნელოვანია პატარა სამხედრო წარმატების განხორციელება, მაგრამ უკრაინასთან ფართომასშტაბიანი ომი არც პატარა იქნება, ფართომასშტაბიანი რეალობის წინაშე დადგება პუტინი.

რაც შეეხება საქართველოს, ნატოში ჩვენ მიღებას უახლოეს მომავალში არც არავინ ფიქრობდა და ეს ყველაზე კარგად პუტინმა იცის, ის დაუკრეფავში გადავიდა და შეეხო ისეთ სფეროს, სადაც ნაბიჯი არ უნდა გადაედგა, არ უნდა მოეთხოვა მას ნატოს წესდების შეცვლა. ამერიკა შეძლებს მოლაპარაკებებში ჩაითრიოს რუსეთი? – რუსეთმა კარგად იცის, რომ მისი მოთხოვნა არ არის დიპლომატია. მან მოითხოვა ისეთი რამ, რასაც ვერ მიიღებს და მან ეს მშვენივრად იცის. როდესაც უარს მიიღებს მომავალ კვირას, უკან ვეღარ დაიხევს, რადგან პუტინმა სახე უნდა შეინარჩუნოს. ეს ამერიკელებსაც ესმით და ცდილობენ მოძებნონ ისეთი გადაწყვეტილება, რომ არც პუტინმა იგრძნოს თავი ძალიან დამცირებულად, ორივე მხარემ სახე უნდა შეინარჩუნოს, მაგრამ პუტინს აწყობს თუ არა, ეს უკვე სხვა საკითხია.

– სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ აშშ და ნატო მზად არიან, რუსეთთან შეხვედრა კვლავ გამართონ და დიალოგი გააგრძელონ. როგორ ფიქრობთ, საპასუხოდ რას შესთავაზებს ამერიკა რუსეთს? როგორ დასრულდება ეს პროცესი?

– ამერიკა შესთავაზებს მოლაპარაკებას, მაგრამ რუსებმა უკვე განაცხადეს, რომ მოლაპარაკებებში აზრს ვერ ხედავენ. ამერიკა ან უნდა დათანხმდეს ამ ულტიმატუმს, ან რუსეთი მიიღებს სათანადო ზომებს. მეორე მსოფლიო ომის მერე ევროპელები ამერიკელების კმაყოფაზე ყოფნას მიეჩვივნენ და უბრალოდ, შეიარაღებაზე ფულის დახარჯვაც კი არ უნდათ.

როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი, კიდევ უფრო გადაიწევა საქართველოს ნატოში გაწევრების პერსპექტივა. ახლა უკვე გამოჩნდნენ უკრაინისა და საქართველოს კონკურენტები – შვედეთი და ფინეთი, რუსეთი ამაზე ვერაფერს იტყვის.

ნიკო ჩოხელი

სააკაშვილის ციხიდან დასნა ახლა მხოლოდ სასწაულს შეუძლია



„ნაცმოძრაობის“ ყველა კარტი გაჭრილია...

დღეს ქვეყანის პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საკითხმა თითქოს, გარკვეულწილად, მნიშვნელობა დაკარგა და მისმა ფაქტორმა მეორე პლანზე გადაიწია, მიუხედავად უამრავი მცდელობისა, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების, ასევე სააკაშვილის ადვოკატების და თავად ყოფილი პრეზიდენტისა. ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საზოგადოება დაიღალა მიხეილ სააკაშვილის შიმშილობის შემდეგომი რეაბილიტაციის თუ მკურნალობის თემით. თუმცა, კონკრეტული მედიასაშუალებებით მაინც აქტიურად მიდის ყოფილი პრეზიდენტის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევის მცდელობა და ასევე, კვლავ განიხილება მისი გაყვანა საზღვარგარეთ, მკურნალობის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ გარკვეული საკადრო ცვლილებები განხორციელდა, ოპოზიციონერი ლიდერები ამბობენ, რომ პარტიის პოლიტიკური დღის წესრიგი ამით არ იცვლება და „ნაცმოძრაობა“ ყველაფერს გააკეთებს თავისი ლიდერის საპატიმროდან გამოსაყვანად. ანალიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ მიუხედავად უამრავი მცდელობისა, მიხეილ სააკაშვილის ფაქტორის გააქტიურება რთული იქნება და მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდება, თუნდაც საპროტესტო აქციების გაგრძელდეს, რადგან ამან უკვე მუხტი დაკარგა.

საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზნით, „ნაციონალური მოძრაობა“ არ გამორიცხავს საკანონმდებლო ორგანოში შესვლას, თუმცა, მას უნდა ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ კომისიის შესაქმნელად საჭირო 50 ხმას აუცილებლად მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუკი საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენების შედეგადაც შედეგს ვერ მიაღწევს, ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, „ნაცმოძრაობის“ ლიდერები შესაძლოა, კვლავ ქუჩის აქციებს დაუბრუნდნენ.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** თვლის, რომ საზოგადოება მიხეილ სააკაშვილის პრობლემატიკით დაიღალა და ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკური წონა მნიშვნელოვნად არის დავარდნილი. ხალხის ცნობიერებაზე განსაკუთრებით უარყოფითი როლი ითამაშა ბოლო სასამართლო სხდომაზე მის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა.

„სააკაშვილის საკითხი აქტუალური იქნება იმდენად, რამდენადაც თავად შეძლებს საკუთარი პიროვნების ირგვლივ ყურადღების მობილიზებას. ვნახეთ, რომ „ლორდთა პალატაში“ სწრაფად დაიწყეს მისი საკითხის განხილვა, ინიციატივები აქვთ მათ ადვოკატებს, რომ საერთაშორისო მოსამართლეები ჩართონ საქმეში. პრაქტიკულად, ყოველ მომდევნო დღეს მიმართვებს ავრცელებს, რასაც აქტიურად ტირაჟირებს ყველა მედიასაშუალება. მედიაყურადღება მას არ აკლია, თუმცა, მეორე საკითხია, მისი პოლიტიკური წონა როგორი, მისი დაბრუნების შემდეგ.

მისი პოლიტიკური წონა მნიშვნელოვნად არის დავარდნილი, განსაკუთრებით სასამართლო პროცესებზე მისი სკანდალური გამოსვლების შემდეგ. ამ მხრივ ნიშანდობლივი იყო ბოლო სასამართლო პროცესი, სადაც მის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა, მისი აქტიური მომხრეების გულისწყრომაც კი გამოიწვია, განსაკუთრებით ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით გაკეთებულმა რემარკებმა. მიხეილ სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ მისი სახელი არ ჩამოვიდეს მედიასივრციდან, პროვოკაციაზეც კი მიდის იმისათვის, რომ ყურადღების ცენტრში იყოს. საზოგადოება უკვე დაიღალა სააკაშვილის პრობლემატიკით, ისმენს ერთი და იგივე მესიჯებს, რომელიც მისგან მოდის“, — განაცხადა ანჯაფარიძემ.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმებსა და შემდგომ ნაბიჯებს, ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ „ნაცმოძრაობა“ შეეცდება მოუგვარებელ სოციალურ პრობლემებზე სპეკულირებით შეძლოს საპროტესტო ელექტორატის მობილიზება.

„ახლა ოპოზიცია ძირითადად ორიენტირებული იქნება იმაზე, რომ ხელისუფლება გამოიჭიროს მოუგვარებელ სოციალურ პრობლემებზე და სოციალურ პრობლემატიკაზე სპეკულირებით შეძლოს საპროტესტო ელექტორატის მობილიზება, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებში. ოპოზიცია ამ კუთხით იქნება აქტიური, მაგრამ აქ არის მეორე საკითხი, აუბამს თუ არა მას მხარს დანარჩენი ოპოზიცია თუ მხოლოდ „ნაცმოძრაობა“ იქნება მარტოსული მებრძოლი? — ეს, ალბათ, მალე გამოჩნდება. ვნახავთ, ისინი შევლენ თუ არა პარლამენტში, ეს იქნება გარკვეული ინდიკატორი, თუ რას გააკეთებენ სამომავლოდ.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მოაგროვებენ თუ არა ისინი საჭირო 50 ხმას იმისათვის, რომ შექმნან საგამოძიებო კომისია. „ნაცმოძრაობაში“ ამაზე აზრები გაყოფილია. ერთი ჯგუფი ემხრობა იმას, რომ იყვნენ პარლამენტში, მაგრამ არ დაივიწყონ ქუჩა, მაგრამ მეორე, უფრო რადიკალური ფრთა მიიჩნევს, რომ ისინი არ უნდა იყვნენ პარლამენტში. რომლის მოსაზრება გაიმარჯვებს, ვნახოთ. ბევრი იქნება დამოკიდებული, სააკაშვილისგან რა დერექტივას მიიღებენ“, — აღნიშნა ზაალ ანჯაფარიძემ.

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** აცხადებს, რომ „ნაცმოძრაობამ“ უნდა გამოიყენოს ბრძოლის იარაღად, როგორც პარლამენტი, ასევე ქუჩის საპროტესტო აქციებიც. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ალბათ საკანონმდებლო ორგანოში შევა, რადგან მათ მიზანს საგამოძიებო კომისიის შექმნა წარმოადგენს.

„ოპოზიციის გეგმებს გაგრძელება ექნება, თუმცა, ალბათ, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის საკითხი არ იქნება დღის წესრიგში, არამედ სხვა საკითხებიც, გარკვეული მოთხოვნები ხელისუფლების მიმართ, მათ შორის პარლამენტის შიგნით და მის გარეთაც. ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი აპირებს, რომ გააგრძელოს საქმიანობა პარლამენტის შიგნით.

არსებობს ინტერესი მიხეილ სააკაშვილის საკითხის მიმართ და ასევე, სხვა საკითხებსაც ექცევა მნიშვნელოვანი ყურადღება. ის სტატუს-კვო, რომელიც დღეს არსებობს, შენარჩუნებული იქნება. ჯერჯერობით, რაიმე რადიკალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ ამ ვითარებაში. მოგეხსენებათ, პარტიის შიგნით უკვე მოხდა ცვლილებები, მაგრამ საამოქმედო ტაქტიკა დარჩება იგივე, — პარლამენტის შიგნით წინააღმდეგობის გაწევა და ხანდახან, დემონსტრაციული გამოსვლებიც. „ნაცმოძრაობა“, ალბათ, შევა პარლამენტში, რადგან მათი მიზანი არის საგამოძიებო კომისიის შექმნა და ამისთვის ოპოზიციის უმრავლესობა უნდა იყოს წარმოდგენილი პარლამენტში“, — განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

ნიკო ჩოხელი

გლახაკის დაბადება არ გაიშვა! გლახაკი ყველგან გლახაკად რჩება!

დაბრუნდა სამშობლოში თვითმფრინავის ჩვეულებრივი რეისით, ამ არაჭნებთან ერთად შემოპარულისგან განსხვავებით, კაცურად მივიდა პირდაპირ სასამართლოში და დაიწყო თავისი უდანაშაულობის მტკიცება

ექსპერტი **ედიშერ გვენეტაძე** უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს სამშობლოში დაბრუნებას ეხმიანება.

„ყველაფერში სამარცხვინო როგორ უნდა იყოს კაცი? არადა სამწუხაროდ ასეთია ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი! მოდით, შევადაროთ ამ საცოდავის და უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის პოროშენკოს ქმედებები: ჯერ იყო და მთავარსარდლობის დროს გახურებულ ომში მიატოვა ჯარი და საკუთარ დაცვას ასწრებდა გორიდან! პოროშენკო კი ომიანობისას გადიოდა ბრძოლის ველზე, ამხნევებდა მებრძოლებს და იქიდან თვითმფრინავების და ტანკების გრუხუნის ხმებზე გამობუნძულებული ჩვენებური ბედოვლათივით არავის უნახავს! შემდეგ იყო, აქაურმა ჩაათავა პრეზიდენტობის ვადა თუ არა, უკრაინაში გაიქცა და ოდესის გუბერნატორის თანამდებობაზე გაცვალა იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომლის პრეზიდენტიც ორი ვადით იყო! რაც მთავარია, პოროშენკოს არ გაუყალბებია მიშასაგან განსხვავებით საპრეზიდენტო არჩევნები და წააგო თუ არა მაშინვე ცნო დამარცხება, წავიდა საზღვარგარეთ, მაგრამ უკრაინის მოქალაქეობა არ დაუთმია, უფრო მეტიც დაბრუნდა გუშინ სამშობლოში თვითმფრინავის ჩვეულებრივი რეისით, ამ არაჟნებთან ერთად შემოპარულისგან განსხვავებით მივიდა კაცურად პირდაპირ სასამართლოში და დაიწყო თავისი უდანაშაულობის მტკიცება! ამ საქვეყნოდ თავის მომჭრელმა, ჩააყუდეს თუ არა, მაშინვე ატეხა ტირილი, ჟივილ-ხივილი, ბღავილი, ხვეწნა-მუდარა, მიშველეთ, გამიყვანეთ გადამარჩინეთო და დღესაც ამ დღეშია! ჰოდა აქედან გამომდინარე მინდა ვთქვა ისე, როგორც გურია-იმერეთში იტყვიან: „გლახაკის დაბადება არ გაიშვა“! ამიტომაც, გლახაკი ყველგან, გლახაკად დარჩება!“ — წერს ედიშერ გვენეტაძე Facebook-ზე.



ნაცბანდის ახალი ხელმძღვანელები

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარტიის ახალი სამდივნოს შემადგენლობა წარადგინა. სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად, პარტიას 12 სხვადასხვა მიმართულების მდივანი ეყოლება.

გენერალური მდივანი — **პეტრე ცისკარიშვილი;** გენერალური მდივნის მოადგილე — ადმინისტრაციული საკითხების მდივანი — **ზურა მელიქიშვილი:** საგარეო საკითხთა მდივანი — **თინათინ ბოკუჩავა;** ანალიტიკური საქმიანობის მდივანი — **გიორგი თარგამაძე;** საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების მდივანი — **დიმიტრი ჩიქოვანი;** რეგიონალური მდივანი — **გიორგი ბოტკოველი;** საორგანიზაციო მდივანი — **ბაჩო დოლიძე;** იურიდიულ და საარჩევნო საკითხების მდივანი — **ლევან ბეჟაშვილი;** სტრატეგიული კომუნიკაციების მდივანი — **ნიკა ობოლაძე;** სტრატეგიული განვითარების და რეფორმების მდივანი — **ანა გოგოლაძე;** ანტიკორუფციული საკითხების მდივანი — **ლევან ხაბეიშვილი;** პოლიტიკური მდივანი — **აკაკი მინაშვილი;** მედიასთან ურთიერთობის მდივანი — **გიორგი პატარაია.**

აი, ამათ იმედზე რჩება მოძალადეთა, მკვლელთა და დესტაბილიზაციის მოსურნეთა ბანდა.

„სად ხედავთ ნატოს ღია კარს“?

ანალიტიკოს დავით ქართველიშვილის განცხადებით, ჩვენი ნატოში ინტეგრაციის შორეული ბუნდოვანი პერსპექტივების ფონზე, დღეს სასწრაფოდ გვჭირდება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან – ევროკავშირთან და აშშ-თან არსებული ურთიერთობების „გადაფორმატება“ რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით...



დავით ქართველიშვილი:

რასეულენის ფორეულა ნეინდა ნყლის სისულელეა!

– ბატონო დავით, როდესაც რუსეთი ღიად საუბრობს, რომ არ დაუშვებს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში და, რომ უნდა შეიცვალოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, პარალელურად ჩვენ ვხედავთ, როგორ ვითარდება მოვლენები ყაზახეთში, რა ვითარებაა უკრაინაში, ვითარება მძიმეა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში. ამის ფონზე როგორ წარმოგიდგენიათ ორმხრივი მოლაპარაკების რეჟიმი, მით უფრო თურქეთის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო მონაწილეობას მიიღებს 3+3-ის ფორმატში...

– 3+3 და ნატო გვერდზე გადავდოთ. დავიწყოთ პირდაპირი მოლაპარაკებები სტრატეგიულ, უკვე არსებულ პარტნიორებთან და ამას დავამატებდი ძალიან ანგარიშგასაწევ მოთამაშეს, მსოფლიო დონის ზესახელმწიფოს, როგორიც არის – ჩინეთი, რომელთანაც უფრო მკაფიო ურთიერთობა უნდა დაამყაროს პატარა საქართველომ. მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ ამ პლანეტის ეკონომიკის სფეროში უმსხვილესი მოთამაშეები დავარწმუნოთ, რომ საქართველო დღეს საინვესტიციო თვალსაზრისით არის მიმზიდველი ქვეყანა.

ამას ადასტურებს მსოფლო ბანკის მიერ ჩატარებული ნებისმიერი ბოლო გამოკვლევა, რომლის თანახმად საქართველო შეყვანილია როგორც უსაფრთხო ქვეყნების, ასევე კორუფციისაგან თავისუფალი ქვეყნების რიცხვში, საინვესტიციო თვალსაზრისით, საქართველო გამოცხადებულია ძალიან მიმზიდველ სუბიექტად. ამიტომ, ჩვენ უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება მსხვილი მსოფლიო დონის მოთამაშეების ინვესტირება მოვახდინოთ ჩვენს ეკონომიკაში. დღეს სასწრაფოდ არის შესამუშავებელი გონივრული, წარმატებული საინვესტიციო პოლიტიკა. ეს იქნება ჩვენთვის, უსაფრთხოების თვალსაზრისითაც, დაცვის ერთ-ერთი ყველაზე კარგი ინსტრუმენტი.

კიდევ ერთხელ ვამბობ, გავანებოთ თავი ნატოს, გადავდოთ გვერდით ნატოს მოლოდინები, არ ვიცი რა პეროდით, ეგ თვითონ ნატოს გადასაწყვეტი თემაა და ნუ შევეხებით ამ ახალ ბუნდოვან კონფიგურაციებს, როგორიც არის 3+3. ამ ეტაპზე მივეკედლოთ იმ სტრატეგიულ პარტნიორებს და მოვძებნოთ გზა ახალ შესაძლო სტრატეგიულ პარტნიორთან – ჩინეთთან, რათა ეკონომიკური ექსპანსია მოვახდინოთ საქართველოს ეკონომიკაში, რომელსაც, რამე რომ იყოს, ზესახელმწიფოები დაიცავენ ყველაზე კარგად, იარაღის გარეშეც კი.

– ერთი ნაწილი ამბობს, რომ ნატოში გაწევრიანება ეს არის კონფლიქტების მოგვარების მთავარი გასაღები, მეორე ნაწილი პირიქით საუბრობს, რომ ნატოს წევრობა უფრო გვაშორებს ოკუპირებულ რეგიონებს. ნატოში გაწევრიანება, ალბათ, არ უნდა იყოს მხოლოდ თვითმიზანი. როგორ ფიქრობთ, ნატოს გაფართოება გვაშორებს კონფლიქტურ რეგიონებს და თუ ასეა, რამდენად მართებს აქ საქართველოს ხელისუფლებას თითოეული ნაბიჯის გათვლა, მათ შორის რუსეთთან მიმართებაში და ახალი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რა რისკებს შეიცავს საქართველოს გაწევრიანება ნატოში?

– ნატოში ვერ ვწევრიანდებით და ამას ხომ ყველანი ვხვდებით, ამაზე მკაფიოდ რა უნდა გვითხრან? რაზე ვმსჯელობთ ჩვენ ახლა, არარსებულ თემებზე? – დავივიწყოთ...

– ხომ უნდა ითქვას ღიად, რომ დღეს ვერ ვწევრიანდებით ნატოში, იმიტომ რომ მოლოდინი გაწევრიანების შესახებ საკამოდ მაღალია...

– არ ვწევრიანდებით და იმ თემას შევეხები, რასაც მესამე წელია პერიოდულად აჟღერებს ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი რასმუსენი, რომ იქნებ საქართველო მივიღოთ ნატოში დროებით ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე. ეს არის აბსოლუტური სისულელე! თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არაფერი არ უშლიდა რუსეთს და რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს, თუნდაც ბელარუსს და ყაზახეთს ამ ხნის განმავლობაში ეცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ ნაბიჯს არ დგამდნენ თვით რუსეთის ყველაზე ახლო მოკავშირეებიც კი.

მე გაძლევთ პირობას, რომ რასმუსენის იდეა არის გამორიცხული. საქართველოს საზოგადოება და ქართველი ხალხი ამ ნაბიჯს არ გადაადგმევინებს არც ერთ ხელისუფლებას, მაგრამ თეორიულადაც რომ განვიხილოთ რასმუსენის ფორმულა, შეგვიყვანონ ნატოში ჩვენი ორი რეგიონის გარეშე, მეორე დღესვე მოხდება ამ სახელმწიფოების არა მხოლოდ ცნობა იმ პოსტსაბჭოური ქვეყნების მხრიდან, არამედ ყველა არსებული კავშირებში, მათი როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების შეყვანა, ეს იქნება ევრაზიული კავშირი, ეს იქნება ის ახალი კავშირი, რომელსაც აანონსებს ლუკაშენკო, მათ შორის სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც იცავს ამ ხელშეკრულებით გაერთიანებულ ქვეყნებს სამხედრო თავლსაზრისით. ზუსტად ეს ძალები მონაწილეობდნენ ყაზახეთში განვითარებულ მოვლენებში. ანუ, ჩვენ არა მხოლოდ დე-იურე, არამედ დე-ფაქტოდ ვკარგავთ ამ რეგიონებს. მათ შორის სამხედრო თვალსაზრისითაც. რამე რომ მოხდეს, უკვე გაერთიანებული შეიარაღებული ძალები მიიღებენ მონაწილეობას ამ ჩვენი რეგიონების უსაფრთხოების დაცვაში.

– ამ ფორმულით სად მივდივართ?

– მივდივართ უფსკრულისკენ და ვიჩეხებით! ამიტომ, ამ ეტაპზე რასმუსენის ფორმულა საერთოდ უნდა დავივიწყოთ. რაც შეეხება 2008 წლის იანვრის გამოკითხვას, როცა მოსახლეობის 67%-მა დადებითი პასუხი გასცა, ეს უკვე ის თემაა, რომელიც, ალბათ, ისევ საჭიროებს საყოველთაო გამოკითხვას. მკაფიოდ არის დადასტურებული ჩვენი მისწრაფებები, მაგრამ ამ მისწრაფებების განხორციელების გზაზე მსოფლიო შეიცვალა, გეოპოლიტიკური კონფიგურაციები იცვლება და, ამიტომ ეს უკვე ხვალინდელი დღის თემაა. მოსაფიქრებელია, როგორ და რანაირად გავცეთ მთლიანად საზოგადოებამ პასუხი, მაგრამ დღეს აუცილებელია პირდაპირი კავშირები განვამტკიცოთ ევროკავშირთან, ამერიკასთან და ახალ მოთამაშეებთან გავჭრათ გზები.

– როგორც თქვენ ამბობთ, მსოფლიო შეიცვალა და იცვლება გეოპოლიტიკური კონფიგურაცია, ამის ფონზე ხომ არ დადგა დრო, რომ პარალელურ რეჟიმში დიალოგი ვაწარმოოთ რუსეთთან, რომელიც კონფლიქტის მხარეა ამ შემთხვევაში? სამწუხაროდ, გაიყინა აფხაზეთის თემა. არავის არ ველაპარაკებით და ამ დროს, აფხაზებთან პირდაპირი დიალოგი სულაც არაა რთული...

– გაზაფხულზე პრაღაში შედგება მორიგი შეხვედრა აბაშიძე-კარასინის ფორმატში. ორი თვის წინ შედგა ვიდეოკონფერენცია...

ამ კონფერენციის შემდეგ ერთ-ერთმა ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა ქართულ მხარეს უსაყვედურა და ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „მე მესმის, რომ საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლებისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა არის გამორიცხული. მესმის ძალიან კარგად, მაგრამ ხომ არსებობს უამრავი სხვა ჰუმანიტარული, ეკონომიკური და კულტურული საკითხები, ბოლო-ბოლო, ამ დე ფაქტო ადმინისტრაციული საზღვრის აქეთ-იქით მიმართულებით გადაკვეთის საკითხები, რომელიც შეიძლება ქართულმა მხარემ დე-ფაქტო ხელისუფლებებთან გადაწყვიტოს რაღაცა დიალოგში შესვლის გზით? მე არ მესმის, რატომ არ აკეთებს ამას ქართული მხარე“.

მე გეუბნებით იმ მხარის პოზიციას და ერთგვარ მინიშნებას, რით უნდა დავიწყოთ ქართველებმა, რომ შემდეგ გავიდეთ თუნდაც რუსეთის ფედერაციასთან ამ თემებზე სასაუბროდ რაღაცა სამუშაო კონტაქტების დონეზე. გასაგებია, რომ არსებობს ჟენევის ფორმატი, მაგრამ ყოველ ჯერზე იმის მოწოდება, რომ 6-პუნქტიანი შეთანხმება შევასრულეთ-არ შევასრულეთ, ეს არის ჩიხური გზა. ჟენევის არც ერთი ფორმატი პატარა გარღვევითაც კი არ დაგვამახსოვრდა. რუსეთი კი თითქოს თვალს გვიკრავს და გვეუბნება – არც ცნოთ, გასაგებია ამას არასოდეს გააკეთებთ, მაგრამ რაღაცა სხვა ტიპის დიალოგი დაამყარეთო.

ჩვენს მეხსიერებას ხომ შემორჩა ზუსტად ამ ტიპის დიალოგის მცდელობის წარმატებით დასრულება 2004 წლამდე, რომელიც აფხაზეთის მიმართულებითაც იყო და ყველაზე უფრო მკაფიოდ ცხინვალთან მიმართებაში. ქართველი ადამიანისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა ცხინვალის გავლით ქართულ სოფლებში ასვლა. მსგავს ნაბიჯებს რატომ არ ვდგამთ, მე ამაზე პასუხი არ გამაჩნია. თუ ხელისუფლება იმას ერიდება, რას იტყვის „ნაციონალური მოძრაობა“, ეს არის სისულელე. ამიტომ არ ვიცი, რატომ არაფერი არ კეთდება, ფაქტია, რომ მართლაც არაფერი არ კეთდება!

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

რას ასწავლის საქართველოს სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები??

„ბაქო-თბილისი-ყარსის“ რკინიგზის მთავარი ინიციატორი, აზერბაიჯანი, იკავებდა მტკიცე პოზიციას ნებისმიერი სატრანსპორტო პროექტის მიმართ სომხეთის მონაწილეობით, ცხადია, ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტამდე. ასეთმა პოზიციამ აზერბაიჯანს მისცა ძმედითი ბერკეტი კონფლიქტის გადაწყვეტაში, რადგან რეგიონულ თანამშრომლობაში ჩართვის შეუძლებლობამ სომხეთს დააკარგვინა მნიშვნელოვანი ეკონომიკური შესაძლებლობები.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ აზერბაიჯანის ახლო მოკავშირე თურქეთი ატარებდა იგივე დიპლომატიურ პოლიტიკას, მიუხედავად ადგილობრივი თურქი მეწარმეების მხრიდან მთელი ლობისტური მცდელობებისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ სარკინიგზო ხაზის „ყარსი – გიუმრი“ ამოქმედება სომხეთსა და თურქეთს შორის ხელს შეუწყობდა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

პროფესიონალ რკინიგზელთა კლუბის პრეზიდენტი დავით გოჩავა ამბობს, რომ სომხეთის მიმართ ასეთი პოლიტიკა მომგებინი იყო საქართველოსთვის, რადგან სარკინიგზო ხაზის „ყარსი – გიუმრი“ გახსნა არ პასუხობდა საქართველოს ინტერესებს და ჩვენ გვქონდა სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი სომხეთის ექსპორტისათვის და იმპორტისათვის. მისი განმარტებით, გეოგრაფიის და რეგიონული პოლიტიკური კონფლიქტების გათვალისწინებით, საქართველო და ირანი წარმოადგენდა სომხეთისთვის ერთადერთ შესაძლო სატრანზიტო გზებს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციისთვის.

„სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის, თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის ჩაკეტვის შედეგად, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ღია საზღვაო პორტებს ფლობს შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველო იყო ერთადერთი გზა სომხეთის ეკონომიკური საქმიანობისთვის. ამავე დროს საქართველო უზრუნველყოფდა ერთადერთ დერეფანს რუსეთისათვის, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პარტნიორს სომხეთისთვის. სომხეთის მიმართ აზერბაიჯანის და თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად მიღებულ უპირატესობებს დაემატა „ბაქო-თბილისი-ყარსის“ რკინიგზა, რომელმაც გაზარდა საქართველოს პოტენციალი, როგორც სატრანზიტო რგოლისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. საბოლოო ჯამში გამოვიდა ისე, რომ საქართველო და აზერბაიჯანი გახდნენ ქვეყნები სამხრეთ კავკასიაში, რომლებმაც მიიღეს სარგებელი რეგიონული ეკონომიკური პროექტებიდან. პოლიტიკური სარგებელი, თანაც, უდიდესი, გატარებული პოლიტიკიდან კი მიიღო აზერბაიჯანმა – მან გადაწყვიტა ყარაბაღის პრობლემა, და გადაწყვიტა ისევ და ისევ თურქეთის დახმარებით,“ – უხსნის „კომერსანტს“ სარკინიგზო საკითხების სპეციალისტი, დამოუკიდებელი ექსპერტი დავით გოჩავა და იმასაც ამატებს, რომ ეს არის ჩვენ თვალწინ განვითარებული ისტორიული ხდომილება სამხრეთ კავკასიაში. რომლისგანაც საქართველომ დასკვნა უნდა გამოიტანოს, გაკვეთილად უნდა მიიღოს და გაანალიზებულად იმოქმედოს.

„რომ გაეხსნა თურქეთს სარკინიგზო ხაზი „ყარსი – გიუმრი“, რომ გაეხსნა საზღვარი თურქეთს სომხეთთან, რომ ევაჭრა აზერბაიჯანს სომხეთთან, „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტი არ გადაწყდებოდა და არ გადაწყდებოდა დადებითად აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. ეს არის ჩვენ თვალწინ განვითარებული ისტორიული ხდომილება სამხრეთ კავკასიაში. გაკვეთილი არ გამოვიტანოთ?! არ ვისწავლოთ?! კარგი, გავაგრძელოთ ვაჭრობა რუსეთთან, გავხსნათ „აფხაზეთის რკინიგზა“, შევიდეთ „3+3“ ფორმატში და გავაგრძელოთ ოცნება ასეთი პოლიტიკით აფხაზეთის დაბრუნებაზე,“ – განუცხადა „კომერსანტს“ ექსპერტმა.

ბელა გელაშვილი

ლაშა ბაქრაძე: მუზეუმში დარჩენილი ელენე ბაქრაძის (დარიანი) წიგნები გუშინ უკვე გადავეცით სამინისტროს განკარგულებაში

ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი **ლაშა ბაქრაძე** სოციალურ ქსელში წერს კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით (**გუშინ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში – რედ.**) და აღნიშნავს, რომ მუზეუმში დარჩენილი ელენე ბაქრაძის (დარიანი) წიგნები უკვე გადასცეს სამინისტროს განკარგულებაში.

„ამა წლის 16 იანვარს, კვირადღეს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მოითხოვა, რომ მთელი ტირაჟი წიგნისა „ელენე ბაქრაძე (დარიანი)“ სამინისტროს გადაეცეს. ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემული ამ წიგნის ბეჭდვა სამინისტროს დაფინანსებულია.

ამავე მოთხოვნის თანახმად, უნდა დავაბრუნოთ უკვე გაყიდული და გაჩუქებული ეგზემპლარები. წიგნის მყიდველების ვინაობას ჩვენ ვერ დავადგენთ და გაყიდული წიგნების უკან დაბრუნება, რასაკვირველია, ვერ მოხერდება, და მუზეუმი ვერაფრით „მიმართავს შესაბამის ზომებს, მესამე პირებზე გადაცემული ეგზემპლარების დასაბრუნებლად“.

მუზეუმში დარჩენილი წიგნები უკვე გადავეცით სამინისტროს განკარგულებაში.

ის რომ წიგნში, ბოლო, ლექსების ნაწილში, შეცდომებია გაპარული უკვე ვაღიარეთ და ვაპირებდით დარჩენილი ტირაჟისთვის შეცდომების გასწორების ფურცელი დაგვერთო, ისე, როგორც მიღებული წესია, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ვერც ახალი, ჩასწორებული ტირაჟის გამოცემას მოვახერხებთ ჩვენი მუზეუმის უმწირესი ბიუჯეტით, მით უმეტეს, როცა სამინისტრო ბეჭდვის ხარჯების დაბრუნებასაც ითხოვს.

მაგრამ „არაერთი სამართლიანად აღშფოთებული მოქალაქე“ მეტს ითხოვს და, სამწუხაროდ, სამინისტრომ საჭიროდ ჩათვალა მათი (ამ ეტაპზე) ასეთი განცხადებით დაკმაყოფილება, რასაც დღეს მართლაც „საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვა“. სავარაუდოდ, იგივე მრჩეველები, ვინც სამინისტროს ამ განცხადების გაკეთებას ურჩევდნენ, ახლა საზოგადოების აზრის სრული უგულებელყოფისკენ მოუწოდებენ, ნაცვლად იმისა, რომ სამინისტრომ ბოდიში მოიხადოს ამ ტექსტის გამოქვეყნებისთვის, რომელმაც ძალიან ბევრს, სრულიად სამართლიანად, ჩვენი საერთო და ჯერაც დაუძლეველი საბჭოთა ტოტალიტარიზმის დრო გაახსენა.

შეცდომები, რომლებიც, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, 2 იანვარს ვაღიარე, თურმე „კულტურის სამინისტროს მიერ შესწავლის შედეგად, ახლა უკვე უდავოდ დადასტურებულია“ (სამწუხაროდ, შეცდომები მეტია – არა მხოლოდ ეს ორი ლექსი). ასეთი შეცდომები არც თუ იშვიათია საგამომცემლო საქმეში, და ძალიან დიდი მონდომებაა საჭირო, რომ აქ რაღაც შეთქმულება დაინახო – ამჯერად უკვე ანა კალანდაძის წინააღმდეგ. როდესაც რაღაც დანაშაულზე ჩნდება ეჭვი, მოტივიც უნდა არსებობდეს, და რა მოტივი შეიძლება გვქონდეს გამომცემელსა და რედაქტორს, რომ ისედაც პაოლო იაშვილის ლექსების მისაკუთრების მცდელობაში ეჭვმიტანილ ელენე დარიანს ახლა კიდევ ანა კალანდაძის ლექსები „მივაკუთვნოთ“?

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ქარცეცხლში თითქოს უკვე გაგვატარეს, მაგრამ სამინისტრო ჩემთან „გეგმავს საკითხის სერიოზულად განხილვას“ და კიდევ ერთხელ გარკვევას, თუ „რამ განაპირობა ესოდენ მასშტაბური რეზონანსის გამომწვევი შეცდომა“, რომელიც, როგორც ჩანს, სამინისტროს თვალსაზრისით „სისტემისთვის“ საფრთხის შემცველია“.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ სამიოდე დღის წინათ გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა ელენე ბაქრაძის (დარიანი) წიგნი, სადაც ავტორის კუთვნილებად გამოცხადებულია ანა კალანდაძის ორი ლექსი. სამინისტრომ მოითხოვა მუზეუმისგან, შეწყვეტილიყო აღნიშნული გამოცემის გავრცელება.

რედაქციისგან:

კულტურის სამინისტრო იქნებ აგრერიგად არც აღშფოთებულიყო და არც განცხადება გაევრცელებინა, თავისი დაფინანსებული რომ არ ყოფილიყო ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის ლაშა ბაქრაძის მიერ შედგენილი ელენე ბაქრაძის (დარიანის) ლექსების კრებული. მაგრამ, როცა ლიტერატურის მცოდნედ თავგამოდებული დირექტორი მაღალკვალიფიციური პროფესიონალი ჰგონიხარ და ისეთ საპასუხისმგებლო დაწესებულებას გაბარებენ, როგორიც ქართული ლიტერატურის მუზეუმია, როგორც იტყვიან, ცოტა ტვინი მეტად უნდა გაანძრიო, მით უმეტეს, გერმანიაში ნავარჯიშები, და საქმეს მეტი სიბეჯითითა და გულმოდგინებით უნდა მოეკიდო. ხოლო, როცა ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდები, გაღმა კი აღარ უნდა იდავო, არამედ, თუ პასუხისმგებლობას სრულად გრძნობ, გულწრფელი ბოდიში უნდა მოიხადო ანდა სულაც გადადგე თანამდებობიდან, როგორც ლიტერატურული მუზეუმის არაკვალიფიციური ვაიდირექტორი, რომელიც ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედებაში ვერ ერკვევა.

შენ კი ამის მაგივრად სოციალურ ქსელში თავის მართლების განცხადებას აქვეყნებ და ღობე-ყორეს ედები. ის კი არა, თვითონ სამინისტროსგან ითხოვ ბოდიშის მოხდას ამ ტექსტის გამოქვეყნებისთვის, რომელმაც თურმე „ძალიან ბევრს სრულიად სამართლიანად, ჩვენი საერთო და ჯერაც დაუძლეველი საბჭოთა ტოტალიტარიზმის დრო გაახსენა“ (SIC!). აი, ამაზეა სწორედ ზედ გამოჭრილი, სად ერეკლე და... სად თხამ ვენახი შეჭამაო...

ასე რომ, კულტურის სამინისტროს რეაქცია ამ შემთხვევაშიც დროული და მართალია. რაც შეეხება მუზეუმის სამარცხვინო დირექტორის უსაგნო თავის მართლების პათოსს, როგორც საერთოდ, ამჯერადაც, სამწუხაროდ და სავალალოდ, ნაცური ქოშინი ისმის...

ლაშა ბაქრაძეს, ბარემ შეცდომების გასწორება გამოგეშვა ცალკე წიგნად!



შეცდომების გასწორება

წიგნის დაკაგადონეგისას გაპარული ტექნიკური შეცდომეგის გამო, თარგმანის ნაწილში არ მოხვდა ელენე გაქრაძის ნათარგმნი ლექსეგი:

ანა ახმატოვას ლექსები სათაურებითა და უსათაუროდ, *** „ვისწავლე სადად, გრძნულად ცხოვრება...“ (გვ. 477), „ანნა ახმატოვა“ და „ანნა ახმატოვას“ (გვ. 479), „ანნა ახმატოვას“ (გვ. 480), ***„გადაცვეთილი ხატთან ხალიჩა...“ (გვ. 505), ***„ვხედავ, ვხედავ მთვარის ნამგალს...“ და *** „რამდენ წელს მე...“ (გვ. 506), ***„აქ კი ხანძრის ყრუ კვამლში...“, ***„იცოდე, სცდები, მეტოქე არ გყავს...“ და „სიყვარული“ (გვ. 507), ***„მე მათთან არ ვარ...“ და „დანტე“ (გვ. 508), ***„ძვირფასო, წერილს ჩემსას ნუ დახევ...“ (გვ. 509), „სოფლის ცხოვრების შექება“ (გვ. 510); ალექსანდრე ვოსტოკოვის „ლიცინიუსადმი“ (გვ. 509), ლესია უკრაინკას „რატომ არა ხარ, სიტყვავ, მტკიცე როგორც ფოლადი“ (გვ. 510).

ელენე ბაქრაძის გადაწერილი ოთხი ლექსი შეცდომით მოხვდა წიგნში: **გრიგოლ რობაქიძეს** ეკუთვნის ერთი ლექსი „ლანდი“ (გვ. 478), **ანა კალანდაძეს** კი – სამი ლექსი.: „ქარი **შეარხევს** ვაშლის ხეივანს“ (გვ. 502), „**ქარში**“ და „**მომეფერე, ჩემო ზეზია**“ (გვ. 503).

მკითხველს გოდიშს ვუხდით შეცდომეგისთვის.

ნინო ფოჩხუა: ებრძვიან წულუკიანს ქვეყნის სტაბილურობის მტრები, როგორ გაბედა საკითხის შესწავლა

რა ხდება, რა ამბავი ატეხეს, ლექსის ქურდი ქურდი არ არის? მან ვინც არ იცის ანა კალანდაძის შემოქმედება, უნდა იფიქროს, რომ ის ორი ლექსი, რომელიც ელენე ბაქრაძემ (დარიანი) მიისაკუთრა, ლაშა ბაქრაძის დახმარებით, მისია? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, – ასე ეხმიანება faceebok-ის მომხმარებელი ნინო ფოჩხუა სოციალურ ქსელში კულტურის სამინისტროს მიერ ანა კალანდაძის ლექსის სხვა ავტორზე მიკუთვნებასთან დაკავშირებით განცხადების გავრცელებას.

„რა ხდება, რა ამბავი ატეხეს, ლექსის ქურდი ქურდი არ არის? იმან, ვინც არ იცის ანა კალანდაძის შემოქმედება, უნდა იფიქროს, რომ ის ორი ლექსი, რომელიც ელენე ბაქრაძემ (დარიანი) მიისაკუთრა ლაშა ბაქრაძის დახმარებით მისია? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ამ თემაზე კულტურის სამინისტრომ სავსებით სწორი განცხადება გააკეთა. ეს რომ არ გაკეთებულიყო, ჩავთვლიდი, სახელმწიფო არ დგას სათანადო სიმაღლეზე. რაც შეეხება თეა წულუკიანს, მისი მსგავსი ღირსეული ქალი კი არა, კაციც ცოტა მეგულება. ებრძვიან წულუკიანს ქვეყნის სტაბილურობის მტრები, როგორ გაბედა ამ საკითხის შესწავლა და კულტურის მინისტრისგან რეპრესიებს აანონსებენ. ასე გაგრძელონ, ამით კიდევ უფრო დაიჩქარებენ დასასრულს. სანახაობა კი წინ ბევრია. ცოტა ხანში დაიდება მუზეუმებიდან უკანონოდ გატანილი და დაკარგული ხელოვნების ნიმუშების ნუსხა, აი, მაშინ ატყდება თუ ატყდება, მაგრამ არა უშავს. ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო, ნათქვამია“...

ბიზნესს თანამშრომლების პოვნა სულ უფრო უჭირს, პრობლემა თანდათან კრიზისში გადაიზარდა

საქართველო კადრების დეფიციტს განიცდის. განსაკუთრებული პრობლემა პანდემიის პერიოდში წარმოიშვა. ბიზნესი ამბობს, რომ პრობლემა არასაკმარისი კვალიფიკაციაა, თუმცა ხშირ შემთხვევაში, ანაზღაურებაც საკმაოდ შეუსაბამოა, რის გამოც ადამიანს მუშაობის სურვილი ეკარგება. საქართველოს ბიზნესასოციაციის კვლევის მიხედვით, გამოკითხული კომპანიების 60.2%-ის მოსაზრებით, უმთავრესი მიზეზი, რაც თანამშრომლების მოძიებას ართულებს, აპლიკანტთა არასაკმარისი ცოდნის დონეა, რაც სამი ძირითადი ფაქტორით არის განპირობებული: საქართველოში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები ძალიან მწირია ან საერთოდ არ არსებობს.

მათივე კვლევის მიხედვით, არასაკმარისი ცოდნის დონის გამო, კომპანიებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება უჭირთ — გამოკითხულთა 47.6% ამბობს, რომ ასეთი თანამშრომლების მოძიება განსაკუთრებით რთულია მაშინ, როცა, გამოკითხულთა უმრავლესობის შეფასებით, დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება არ წარმოადგენს სირთულეს ან მცირე სირთულეებთან არის დაკავშირებული.

საერთო ჯამში, 2021 წლის მეოთხე კვარტალში ჩატარებული გამოკითხვა კიდევ ერთხელ ადასტურებს შრომითი რესურსების მოძიების საკითხის პრობლემურობას. გასაკვირი არ არის, რომ ბიზნესში დასაქმებულებს არასტაბილურობის განცდა გაუჩნდათ პანდემიისას დაწესებული შეზღუდვების გამო. ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ხელმძღვანელი **სოსო ნიბლაძე** აცხადებს, რომ თუ არ მოხდა გარკვეული თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება, ეს კიდევ უფრო მზარდ პრობლემად იქცევა.

„ერთი მხრივ, ვხედავთ, რომ საქართველოდან გამორჩეული, ეფექტური სამუშაო ძალა უცხოეთში ინაცვლებს. ეს ტენდენცია იგრძნობა და ამ მხრივ პრობლემებს ვაწყდებით. პრობლემა აქ მენეჯერულ პოზიციებზე ნაკლებადაა, საუბარია კვალიფიციურ მუშახელზე, რომელთა მოძიებაც გაზრდილ სახელფასო პირობებშიც კი პრობლემაა.

ძალიან აქტუალური გახდა დროებითი ემიგრაცია ევროპაში. სამუშაო ძალა გაედინება უცხოეთში გარკვეულ ანაზღაურებაზე, რომელიც შეიძლება იყოს 5-7 ევრო საათში. ჩვენი ახალგაზრდები იქ მუშაობენ და პირობებით კმაყოფილნი არიან. შესაბამისად, საქართველოში რესურსი მცირდება“, — განაცხადა სოსო ნიბლაძემ.

პროფესიონალები საზღვარგარეთ ეძებენ სამუშაოს ქვეყანაში საშუალო დონის მუშახელიც არ რჩება

კადრების დეფიციტს და ადგილობრივი მუშახელის უცხოეთში გადინებას ადასტურებს პროფესიული კოლეჯის „სპექტრის“ ხელმძღვანელი **მათე ტაკიძეც**. მისი ინფორმაციით, ბიზნესის მხრიდან სამშენებლო სექტორში კადრებზე კვლავ დიდი მოთხოვნაა, თუმცა ბაზრისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანების გადამზადება ვერ ხერხდება. განსაკუთრებით დეფიციტურია თანამედროვე ტექნიკისა და აპარატების მართვის მცოდნე სამუშაო ძალა.

„ძალიან ბევრი ახალი ტიპის პროფესია გამოჩნდა, რომელზეც მოთხოვნა მაღალია. მაგალითად, თანამედროვე ტექნიკის, თანამედროვე აპარატების მართვა, რომელსაც სჭირდება გამოცდილი კადრები. ამის სრული დეფიციტია, შესაბამისად, გვჭირდება მათი გადამზადება.

სამშენებლო მიმართულებით კოლეჯ „სპექტრის“ რესურსები ძალიან მაღალია, ბიზნესის ჩართულობით და სახელმწიფოს დახმარებით. გამტარუნარიანობაზე როცა ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ პროგრამების დროულ აკრედიტაციას, რომლის უკანაც დგას სახელმწიფო და ბიზნესი, რომელმაც მერე ეს კადრები უნდა დაასაქმოს. აუცილებელია, რომ ჩვენ ერთად ვიმუშაოთ. სანამ ჩვენ ერთ ენაზე არ ვისაუბრებთ და ზუსტად არ ჩამოვყალიბდებით, რომ ბიზნესის გარეშე წარმოუდგენელია კოლეჯების განვითარება და პირიქით, მანამდე კვალიფიციური კადრების მიწოდების პრობლემა სულ იქნება“, — განაცხადა „საქმიან დილაში“ ტაკიძემ.

საქართველოში საჭირო კადრების დეფიციტს ქვეყნიდან გადინებაც ქმნის. როგორც კოლეჯის ხელმძღვანელი ამბობს, ისინი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ჩეხეთში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთში მიდიან და იქ მუშაობენ. სპეციალისტთა ნაწილი კი სათანადო ანაზღაურების არარსებობაზე ამახვილებს ყურადღებას. პროფესორი **პაატა არუშიძე** აცხადებს, რომ მთავარი პრობლემა კარგი კადრების მოძებნა და შეუსაბამო ანაზღაურებაა. საბოლოო ჯამში, ეს იწვევს კიდეც სამუშაო ძალის უცხოეთში გადინებასაც.

„ძირითადად, კადრების დეფიციტი უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს, ეს არის არასათანადო ანაზღაურება. თუ ადამიანს მიღებული აქვს თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება, საკმაოდ მაღალ დონეზე ფლობს ამა თუ იმ პროფესიას და მას შესთავაზებენ შეუსაბამო ანაზღაურებას, რა თქმა უნდა, ის უარს იტყვის. ასეთ შემთხვევაში მუდმივად დეფიციტი იქნება.

ზოგიერთ სექტორში მართლა არის მნიშვნელოვანი ჩავარდნა, მაგალითად, ენერგეტიკასა და ტექნიკურ სფეროებში, სადაც რთული მოსაძებნია კვალიფიციური კადრები. ამ შემთხვევაში ბიზნესისა და უმაღლესი სასწავლებლების ინტერესები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. მთავარია კადრების ძებნა და შესაბამისი ანაზღაურება, რომ ადამიანს უღირდეს, დაიწყოს მუშაობა და წავიდეს იმ მიმართულებით, რომელიც ყველა მხრივ მზარდი იქნება“, — განაცხადა არუშიძემ და დასძინა, რომ საკმაოდ გართულებულია კარიერული წინსვლის პერსპექტივა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაც.

ბექა დანელია

ქართული ღვინო წლეულსაც გვასახელებს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ 2021 წლის მონაცემებით, რუსეთის ბაზარზე ექსპორტის წილმა 57% შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია როგორც ემბარგომდე (როცა 87% რუსეთის ბაზარს ეკავა), ისე ემბარგოს გაუქმების შემდეგი წლების გათვალისწინებით, რაც სამინისტროს თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია.

„დივერსიფიცირების ღონისძიებებით რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება ყოველწლიურად უნდა შევამციროთ, რაც ახალ ბაზრებზე, სადაც ქართული ღვინის ცნობადობა შედარებით ნაკლებია, უფრო მეტ მარკეტინგულ აქტივობას გულისხმობს. გასულს წელს პირველად, აშშ-ის ბაზარზე, რომელიც მარკეტინგული კუთხით პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა შერჩეული, უკვე მილიონიან ნიშნულს მიუახლოვდა ქართული ღვინის ექსპორტი. ჩვენი მიზანია აქტიურად განვახორციელოთ პროექტი, რომელიც ინდივიდუალური მარკეტინგული ინიციატივების მხარდაჭერას უკავშირდება და რაც სავაჭრო მარკეტინგის თანადაფინანსებას გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან. პროგრამის პრეზენტაცია შარშან სექტემბერში გვქონდა და მეღვინეების მხრიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ ბაზრებზე კიდევ უფრო მეტ გააქტიურებას ველოდებით დივერისიფიცირების გაძლიერების და აღნიშნული პროგრამის ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში. ვფიქრობ, ახალ ბაზრებზე კიდევ უფრო მეტად წარმატებულები იქნებიან ქართული ღვინის კომპანიები“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

გრანტებით გვეხმარებიან სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

ბოლო ორი წლის განმავლობაში ევროკავშირმა და FAO-მ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის 175 გრანტი გასცეს, რომელთა საერთო ღირებულებამ 8,5 მილიონი ლარი შეადგინა. კაპიტალური ინვესტიციების თანადაფინანსების საგრანტო მხარდაჭერა მიზნად ისახავს წარმოების გაზრდას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და სურსათის მიწოდების არასტაბილურობის პრევენციას. აღნიშნული გრანტები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში გაიცა.

საგრანტო პროგრამის მესამე ფაზა 2020 წელს დაიწყო. ამ ერთი წლის მანძილზე ქართველმა ფერმერებმა თანადაფინანსებით შეიძინეს ახალი ტრაქტორები და მანქანები და დანერგეს ახალი, ავტომატიზირებული გადაწყვეტილებები. ასევე, შეიძინეს რძის, ბოსტნეულის, ხილისა და მრავალი სხვა პროდუქტის მასობრივი წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობა. ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში გაცემული თანადაფინანსების გრანტები იმ ფერმერებს, სოფლად მცხოვრებ ოჯახებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, მცირე და საშუალო მწარმოებლებს უჭერს მხარს, რომლებიც საქმიანობას ეწევიან ახალქალაქის, ბორჯომის, დედოფლიწყაროს, ყაზბეგის, ქედის, ხულოს, ლაგოდეხის, თეთრიწყაროს, ახალციხის, დუშეთის, ხელვაჩაურის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, წალკის, ნინოწმინდის, ასპინძის, ყვარლის, გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში.

„პანდემიის დროს ვერ გავყიდე იმდენი ღვინო, როგორც ადრე ვყიდდი. ავზების უქონლობის გამო, ღვინოც ვერ შევინახე და პროდუქტის ნაწილი დავკარგე. ახალი ავზების საშუალებით, ეს პრობლემა მოგვარდა და ჩემი ღვინის ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა“, — განაცხადა ფერმერმა. ევროკავშირისა და FAO-ს პროექტის ფარგლებში გამოყოფილი გრანტები 1000-დან 150,000 აშშ დოლარამდე, საინვესტიციო ხარჯების 60%-მდე თანადაფინანსებით, მცირე, საშუალო და მსხვილ მწარმოებლებს ენიჭება. მცირე და საშუალო მწარმოებლებს, ჯამში, 200-ზე მეტი გრანტი გადაეცა, მსხვილმა საწარმოებმა კი, 2020 წელს, 14 გრანტი მიიღეს.

„ევროკავშირისა და FAO-ს გრანტები ეხმარება ქართველ ფერმერებსა და სასოფლო- სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლებს თავიანთ ფერმებსა და საწარმოებში ინვესტიციების განხორციელებაში. ეს მხარდაჭერა ფერმერებს საშუალებას აძლევს აწარმოონ მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქტი, განაახლონ მეთოდები, შეიძინონ ეფექტური და კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და გახადონ თავიანთი ბიზნესი უფრო მომგებიანი“, — განაცხადა FAO-EU პროგრამის კოორდინატორმა ხავიერ სანს ალვარესმა. საგრანტო პროგრამის 60-მდე ბენეფიციარმა უკვე გააფორმა ხელშეკრულება და საგრანტო მხარდაჭერას ისინი უახლოეს თვეებში მიიღებენ. საგრანტო პროგრამის მეოთხე ფაზის დაწყება 2022 წლის დასაწყისშია გათვალისწინებული.

ქართულ ლოკოკინას ევროკავშირში გზა ხსნილი აქვს

ევროკომისიის 2021 წლის 22 დეკემბრის EU 2022/34 რეგულაციით, საქართველო იმ ქვეყნების ნუსხას დაემატა, საიდანაც ევროკავშირის ბაზარზე ლოკოკინების ექსპორტი დაშვებულია. აღნიშნული რეგულაციის მიღებას წინ უძღოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით გატარებული ღონისძიებები, რომლებიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში მომზადდა.

„აღსანიშნავია, რომ საქართველოში ლოკოკინების წარმოების განვითარების ხელშემწყობი არაერთი პროექტი განხორციელდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, ჯამში, ლოკოკინის წარმოების შექმნისა და განვითარების მიმართულებით 10 მლნ ლარზე მეტი ღირებულების 38 სესხია გაცემული, სოფლის განვითარების სააგენტოს გაცემულმა თანადაფინანსებამ 824,000 ლარზე მეტი შეადგინა.

გარდა ამისა, საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ნებადართულია საქართველოდან ქართული თაფლის (2016 წლიდან), შავი ზღვის ქაფშიის (2017 წლიდან), შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) საკვების (2020 წლიდან) და გარკვეული კატეგორიის არასასურსათო დანიშნულების ცხოველური წარმოშობის პროდუქტის (ტყავი, მატყლი) ექსპორტი. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, სხვადასხვა ბაზარზე 173 ტონა თაფლი გავიდა, მათ შორის 143 ტონა ევროპის ქვეყნებშია ექსპორტირებული. ექსპორტირებული თაფლის ღირებულებამ, ჯამურად, 657 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის ღირებულების ზრდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 436%-ია, მოცულობის კი, 696%“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

ᲰᲐᲘᲜᲠᲘᲮ ᲰᲘᲛᲚᲔᲠᲘ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐ

ᲮᲛᲐᲚᲘ ᲮᲛᲚᲘᲡᲐ ᲬᲘᲚ

ᲤᲐᲣᲡᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲐ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲛ ᲰᲘᲛᲚᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ, განსაკუთრებით კი ამა თუ იმ ქვეყნისთვის, თუ სულაც, მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით მძაფრ დროის მონაკვეთებში გამორჩეული პიროვნებების მიმართ საზოგადოებრივი ყურადღება ყოველთვის დიდია. ამ მხრივ ერთ-ერთი უდავოდ გამოკვეთილი ფიგურაა იოსებ სტალინის გამორჩეული თანამებრძოლი ლავრენტი ბერია. მის სახელთან უამრავი ნამდვილი თუ სინამდვილისგან შორს მყოფი ამბავია დაკავშირებული. ამდენად, ძნელია იმის დაბეჯითებით მტკიცება, თუ ისტორიულად რამდენად სარწმუნოდაა გადმოცემული ის ამბავი, რომელსაც ცოტა ხნის წინათ სოციალური ქსელის ერთ-ერთ ჯგუფში წავაწყდით, თუმცა ვფიქრობთ, რომ მოთხრობილი ერთობ საგულისხმოა.

1939 წლის დასაწყისში სსრ კავშირის მაშინდელი უშიშროების მინისტრი ლავრენტი ბერია, არაოფიციალური ვიზიტით ბერლინში ჩავიდა, სადაც თავის კოლეგას, გერმანიის ფაშისტური ხელისუფლების უშიშროების შეფს, ჰაინრიხ ჰიმლერს შეხვდა.

ორი ქვეყნის უშიშროების თავკაცები ერთმანეთს პირველად პრინც ალბრეხტშტრასეზე, უწყების შტაბ-ბინაში, ჰიმლერის პირად კაბინეტში შეხვდნენ. შეხვედრაზე ლავრენტი ბერიას ახლდა გერმანიაში სსრ კავშირის ელჩი — ვლადიმერ დეკანოზიშვილი (დეკანოზოვი), რომელიც მანამდე „ჩეკაში“ ბერიას მოადგილე იყო და ელჩობას საბჭოური დაზვერვის რეზიდენტობასაც უთავსებდა. აღსანიშნავია, რომ მზვერავების მიერ მოპოვებულ და წყაროებიდან „ამოქაჩულ“ ინფორმაციას იგი პირადად ლავრენტი ბერიას აწვდიდა.

ჰაინრიხ ჰიმლერის უზარმაზარი კაბინეტი მდიდრულად, ძვირფასი ავეჯით გაწყობილი და ოკულტური დანიშნულების ნივთებით დამშვენებული ოთახი იყო. საუბრისას რაიხსფიურერს მხოლოდ რუსულის ჩინებულად მცოდნე ქერათმიანი თარჯიმანი ქალიშვილი ახლდა.

შეხვედრამ ორ საათს გასტანა და თუმცა დასაწყისში თანამოსაუბრეები უფრო მეტად თავშეკავებულნი იყვნენ, შემდეგ დაძაბულობამ თანდათანობით იკლო, ატმოსფერო უფრო ლაღი გახდა და როცა ლაპარაკში ხელოვნებასაც შეეხნენ, ჰიმლერმა გოეთეს „ფაუსტიდან“ რამდენიმე ნაწყვეტი პათოსით წაიკითხა, თარჯიმანმა ქალიშვილმა კი სტუმრებისთვის თარგმნა დაიწყო, მაგრამ ბერიამ მოულოდნელად ანიშნა — ფროილაინ გაჩერდითო და... მშვენიერი გერმანულით რაიხსფიურერის მიერ მანამდე წაკითხული რამდენიმე ციტატა გაიმეორა, ბოლოს კი გაოგნებულ მასპინძელს გერმანულად, სრულიად უაქცენტოდ მიმართა: **„ბოდიშს გიხდით, ჰერ ჰიმლერ, მაგრამ ჩემი გერმანულის ცოდნა შეხვედრის დასაწყისშივე მხოლოდ იმის გამო არ გავამხილე, რომ შესაძლებლობა მქონოდა რაც შეიძლება დიდხანს დავმტკბარიყავი თქვენი მშვენიერი, ჭეშმარიტად არიული გარეგნობის თარჯიმნით!“** (აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რუსულისა და გერმანულის გარდა, ლავრენტი ბერია ფლობდა ფრანგულ, ესპანურ და სპარსულ ენებს).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲚᲩᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲝᲕᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ), ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲝᲢᲝᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕ ᲐᲓᲝᲚᲤ ᲤᲝᲜ ᲰᲐᲚᲔᲛᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ), ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲓᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲔᲠᲜᲡᲢ ᲕᲔᲠᲛᲐᲜᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ) ᲓᲐ ᲐᲛᲐᲘᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲝᲕᲘ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ) ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲐᲠᲔᲝᲨᲘ

რამდენადმე დაბნეული ჰიმლერი ღიმილით შესქცეროდა ბერიას: მისმა უზადო გერმანულმა, დიდი გოეთეს უკვდავი „ფაუსტის“ ჩინებულმა ცოდნამ და ჭეშმარიტად არიული სილამაზის ქათინაურმა იმდენად მოხიბლა უაღრესად თავშეკავებული და, შეიძლება თქმა, გულცივი ჰიმლერი, რომ იგი საბჭოთა დესპანს მხარზე მეგობრულადაც კი შეეხო. მერე მივიდა თავისი საწერი მაგიდის სავარძელთან, რომლის თავთან კედელზე დაკიდებული დიდი ხმალი ჩამოხსნა, ბერიას გაუწოდა და უთხრა: „ჰერ ბერია, ესაა მეფე არტურის ხმლის ზუსტი ასლი, რომელიც საუკეთესო გერმანელმა მჭედლებმა გამოჭედეს. თქვენ ჭეშმარიტი რაინდი ბრძანდებით და ღირსეულად იმსახურებთ მას. გთხოვთ, ჩემგან საჩუქრად მიიღოთ პატივისცემის ნიშნად!“

ᲐᲓᲝᲚᲤ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲐ ᲑᲠᲐᲣᲜᲘ

ბერიამ ჰიმლერს ხმალი გამოართვა და ასე მიმართა: **„გმადლობთ, ჰერ ჰაინრიხ! ნამდვილად არ მოველოდი ასეთ ძვირფას საჩუქარს და, პირობას გაძლევთ, რომ ვალში არ დაგრჩებით!“**

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჰიმლერმა ლავრენტი ბერია მანქანამდე მიაცილა და გულთბილად დაემშვიდობა. ის ღამე ბერიამ საბჭოთა საელჩოში გაატარა და დეკანოზიშვილს ერთი საგანგებო დავალებაც მისცა...

ალბრეხტშტრასეზე სს-ის რეზიდენციაში ჰიმლერთან შეხვედრის მეორე დღეს ლავრენტი ბერია საბჭოთა კავშირის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე იყო მიწვეული, რომელსაც ფაშისტური გერმანიის მთელი ხელმძღვანელი ელიტა ესწრებოდა.

წვეულებაზე წასასვლელად ბერიას თავად ჰიმლერმა მიაკითხა საბჭოთა საელჩოში და იქ ერთად მივიდნენ. ადოლფ ჰიტლერი მსგავს ღონისძიებებზე თითქმის არასდროს დადიოდა, მაგრამ ამ ჯერზე, ყველას გასაოცრად, წვეულებაზე მივიდა, თან არა მარტო, არამედ ევა ბრაუნთან ერთად. ვიდრე ჰიტლერი გამოჩნდებოდა, ჰიმლერმა ბერიას მთელი ფაშისტური ელიტა გააცნო, ხოლო ბელადი რომ მიბრძანდა, მასთან მიიყვანა და უთხრა: **„ჩემო ფიურერ, პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ ლავრენტი ბერია!“** ის-ის იყო, რომ ჰიტლერს ბერიასთვის ხელი უნდა ჩამოერთმია, რომ ლავრენტი პავლოვიჩი მომღიმარ ევა ბრაუნს ხელზე ეამბორა და უთხრა: **„მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, ფრაუ ბრაუნ! გთხოვთ, თქვენს თაყვანისმცემლად და მეგობრად მიგულოთ!“** ამის შემდეგ ბერიამ ჰიტლერს ჩამოართვა ხელი: **„მოხარული ვარ გერმანიის დიდი ფიურერის გაცნობით! მადლობას მოგახსენებთ იმ განსაკუთრებული პატივისცემისთვის, რომელსაც ამ შეხვედრით საბჭოთა კავშირის მიმართ იჩენთ!“**

„მეც მოხარული ვარ, რომ გაგიცანით და ასევე მაოცებს თქვენი გერმანული ენის ჩინებული ცოდნა. როგორც ჩემმა მეგობარმა და თქვენმა კოლეგამ, ბატონმა ჰენრიხმა მიამბო, თქვენ იგი დიდად გაგიკვირვებიათ გოეთეს „ფაუსტის“ საუცხოო ცოდნით!“ — მიუგო ჰიტლერმა.

საღამოს 8 საათზე დაწყებული წვეულება შუაღამემდე გაგრძელებულა და ჰიტლერი ბოლომდე დარჩენილა, რაც, მისი ხასიათიდან გამომდინარე, წარმოუდგენელი ამბავი იყო. თანაც, პირადად ფიურერის თხოვნით, ბერიას სტუმართათვის ფაუსტის მონოლოგი წაუკითხავს, რასაც დამსწრე საზოგადოება ტაშის გრიალით შეხვედრია. შემდეგ კი ბერიასა და ევა ბრაუნს თეთრ როიალზე — ოთხი ხელით — რიჰარდ ვაგნერის მარშის ცნობილი ნაწყვეტი შეუსრულებიათ, რამაც ჰიტლერი იმდენად აღაფრთოვანა, რომ სავარძლიდანაც კი წამომდგარა და მერე აღარც დამჯდარა.

მაგრამ, საღამოს კულმინაცია მაინც ლავრენტი ბერიას „რეჟისურით“ წარმართულა: შუაღამის მოახლოებისას, როცა წვეულება დასასრულისკენ მიდიოდა, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებს დარბაზში ქათქათა თეთრი ყუთი შეუტანიათ და პირდაპირ იატაკზე დაუდგამთ. ბერია ყუთთან მივიდა და გაახსნევინა, იქიდან კი დიდებულად ნაჭედი ქართული ხმალი და ფარი ამოუღია, ჰიმლერს მიახლოებია და უთქვამს: **„ჰერ ჰაინრიხ, გუშინდელი შეპირებისამებრ, ვალში არ გრჩებით და გთხოვთ, ჩემგან საჩუქრად მიიღოთ ლეგენდარული ქართველი მხედართმთავრის გიორგი საakაძის ფარ-ხმალის უძველესი ასლები, რის გამოც მათი გამომჭედლის სახელი უცნობია. ისინი პირდაპირ თბილისიდან გამოვაგზავნინეთ, სახელმწიფო მუზეუმის საცავიდან, სადაც ინახებოდა და საგანგებოდ თქვენთვის შევარჩიეთ საჩუქრად!“**

ენაჩავარდნილი ჰიმლერი შუა დარბაზში იდგა და გაოგნებული დასცქეროდა სამახსოვროწარწერიან ქართულ ფარ-ხმალს და ყველასთვის დღემდე ამოუცნობი მხოლოდ ერთი, ფარული შინაარსის მქონე სიტყვა წარმოუთქვამს — **„ფესვები!“**

ამ სცენას დამსწრე საზოგადოება ადოლფ ჰიტლერის „თამადობით“ მქუხარე ოვაციით შეხვედრია...

მოამზადა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲛᲐ RAFALE-Მ ᲜᲐᲥᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ გამანადგურებელი Rafale ნაქებ რუსულ СУ-35-ზე მძლავრი აღმოჩნდა. ქაიროში გამართული საჩვენებელი „ბრძოლის“ დროს, Rafale-მ რადიოსალოკაციო სისტემის საშუალებით СУ-35-ის ელექტრონული მოწყობილობები სრულად გათიშა და რუსული თვითმფრინავები მარტივად „ჩამოაგდო“.

ამ „ბრძოლის“ დროს რუსული თვითმფრინავი შემტევის როლში გამოდიოდა. აღნიშნულმა ფაქტმა რუსული თვითმფრინავი ორმხრივად დააზარალა: 1. დაიმსხვრა მისი უძლეველობის მითი და 2. მთელმა რიგმა ქვეყნებმა მის შესყიდვაზე უარი განაცხადეს: ალჟირი მის შეიარაღებაში არსებული СУ-30МКА-ს მოდერნიზებას აპირებს, ეგვიპტე — Rafale-ის შესყიდვას, ხოლო ინდონეზია ფრანგული თვითმფრინავის გარდა ამერიკულ F-15 EX-ს შეისყიდის.



ახლა შინაომების დრო არ არის!

მიხაელ გალერი უკრაინაზე, რუსეთსა და საქართველოზე...

აშშ-სა და ნატოსთან ერთკვირიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, როგორც ჩანს, გერმანია მოლაპარაკებების ერთგვარ დამატებით რაუნდში აპირებს ჩართვას — გერმანულ მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, გერმანიის ახალ კანცლერს რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა იანვრის ბოლომდე სურს. შოლცმა უკვე განაცხადა, რომ გერმანია მიესალმება რუსეთთან მოლაპარაკებების ნებისმიერ ფორმატს — კანცლერი დაინტერესებულია ე.წ. ნორმანდიის ფორმატის აღდგენითაც, რომელიც რუსეთს, გერმანიას, საფრანგეთსა და უკრაინას აერთიანებს. შოლცისა და პუტინის შესაძლო შეხვედრამდე, 18 იანვარს, კიევში ვიზიტის შემდეგ, რუს კოლეგას შეხვდება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალინა ბერბოკი. უნდა ველოდოთ თუ არა მოსკოვის მიმართ ბერლინის პრაგმატული კურსის ცვლილებას და ზოგადად, რა უნდა დაუპირისპიროს დასავლეთმა რუსულ ულტიმატუმებს?

„დათმობას არ ვაპირებთ, და გარწმუნებთ, გერმანია არ იძნება ძვეყანა, რომელიც რუსეთთან დათმობებზე წავა... უკრაინის საზღვრის გადაღმა მდგარი თითოეული რუსული ტანკისთვის უკრაინელებს ერთი „ჯაველინი“ ან „მილანი“ მაინც უნდა ჰქონდეთ გამზადებული, რათა სათანადოდ „მიესალმონ“ აგრესორს, თუ ის ქვეყანაში შემოჭრას დააპირებს“, — უთხრა „რადიო თავისუფლებას“ ევროპარლამენტარმა გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიდან, საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრმა **მიხაელ გალერმა**. მან ასევე უპასუხა საქართველოსთან დაკავშირებულ კითხვებსაც.

რადიო თავისუფლება: როგორი განწყობაა გერმანიაში კანცლერისა და პრეზიდენტ პუტინის მოსალოდნელი შეხვედრის წინ?

მიხაელ გალერი: როგორც ნახეთ, ნატოცა და ევროკავშირიც ერთსულოვანი იყო საკუთარი პოზიციის გამოხატვისას: ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, თავი შეიკავოს აგრესიისა და ძალადობისგან და ვაფრთხილებთ, რომ თუ ასე არ მოიქცევა, უპრეცედენტო მასშტაბის სანქციები დაატყდება თავს. ამ პოზიციას იზიარებს გერმანიაც. რუსი ჯარისკაცები უკვე ორი თვეა სიცივეში დგანან, და ერთადერთი, რაც გვინდა და რასაც ვიმედოვნებთ, არის ის, რომ საკუთარ სახლებს დაუბრუნდნენ. მაგრამ ასე არ ხდება, შესაბამისად, აუცილებელია, ჩვენც ვიდგეთ ერთად და ვიდგეთ მტკიცედ ამ გამოწვევის წინააღმდეგ. ამ კვირაში საგარეო საქმეთა მინისტრი ბერბოკი მოსკოვს ეწვევა და ლავროვს შეხვდება. იმედია, კარგად არის მომზადებული, რადგან როგორც კომისარ ბორელის ვიზიტმა ცხადყო, ლავროვისგან კეთილი მასპინძლობისა და თავაზიანობის იმედი არ უნდა გვქონდეს.

— გააგრძელებს თუ არა ახალი კანცლერი თავისი წინამორბედის პოლიტიკას მოსკოვთან მიმართებით? თუ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ?

— ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის პოზიცია უფრო და უფრო ხისტი ხდება — და, შესაბამისად, დასავლეთს უწევს, ადაპტირდეს, როგორმე შეეგუოს იმ ვითარებას. ვფიქრობ, ჩვენი პოზიცია უნდა დასტურდებოდეს მკაფიოდ და იოტისოდენა ეჭვიც კი არ უნდა გაჩნდეს, რომ რუსების მოთხოვნებს რაიმე ლეგიტიმაცია აქვს. ჩვენ გვაინტერესებს ისეთი საკითხები, როგორიცაა შეიარაღების შემცირება და კონტროლი, გამჭვირვალობა და მზად ვართ ამ თემებზე კონსენსუსი ვეძებოთ რუსეთთან, მაგრამ სხვა საკითხებზე დათმობას არ ვაპირებთ, და გარწმუნებთ, გერმანია არ იქნება ქვეყანა, რომელიც რუსეთთან დათმობებზე წავა — აი, რისი მოლოდინი მაქვს ახალი კანცლერისგან.

— რა როლი აქვს ევროკავშირს ამ დიპლომატიურ დუელში? ჩვენ ვნახეთ, რომ სპეციალური წარმომადგენელი ბორელი უკრაინას ეწვია, მაგრამ ისიც ვნახეთ, რომ მოლაპარაკებებში ევროკავშირი უშუალოდ არ იყო წარმოდგენილი — არც ჟენევაში, არც ბრიუსელში ნატოსთან და არც ვენაში ეუთოსთან...

— პირველ რიგში — კარგია, რომ როგორც იქნა, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი აღმოსავლეთ უკრაინას ეწვია. ეს ჯერ კიდევ ფედერიკა მოგერინის უნდა ექნა, მაგრამ ასე არ მოიქცა. ევროკავშირის პოლიტიკა რუსეთთან ასეთია — შეკავება და დიალოგი. პოტენციური სამხედრო საფრთხის საპასუხოდ, ჩვენ რეალური ბერკეტები გვაქვს ეკონომიკური სანქციების სახით. და პარლამენტში ვთვლით, რომ ამ ბერკეტების გამოყენების დრო დადგა — რომ რუსეთი SWIFT-ის სისტემიდან უნდა გამოვთიშოთ. და ამას ნამდვილად ექნება უზარმაზარი და დაუყოვნებელი ეფექტი. ასეთივე ეფექტიანი იქნება რუსი ოლიგარქებისა და პრივილეგირებული „ბიზნესმენებისთვის“ მუდმივი ვიზების გაუქმება ევროკავშირის მასშტაბით. ვნახოთ, როგორ მოეწონებათ — უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ ის, რასაც პუტინი აკეთებს, მათვე ვნებს და ამის შესახებ პუტინს შესჩივლონ მანამ, სანამ მან ის ახალ აგრესიაზე წასვლას გარისკავს. მათ უნდა გაიაზრონ, რომ თუ პუტინზე დადებენ ფსონს, პუტინთან ერთადვე მოუწევთ წაგება.

— ევროპელი მოკავშირეები, გერმანიის ჩათვლით, ჯერჯერობით ფეხს ითრევენ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაწევაზე. რუსეთის ულტიმატუმების ფონზე, ფიქრობთ თუ არა, რომ ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს?

— დიახ, და მეტიც — ეს მიდგომა აქამდეც უნდა შეცვლილიყო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 51-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ ქვეყანას უფლება აქვს დაიცვას საკუთარი თავი. ასე რომ, მინდა, უკრაინის მცდელობა, მიიღოს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები, დაკმაყოფილდეს. გერმანელებს „მილანი“ (დასავლეთევროპული, ფრანკო-გერმანული წარმოების მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა) გვაქვს, ამერიკელებს „ჯაველინი“ — ვფიქრობ, უკრაინის საზღვრის გადაღმა მდგარი თითოეული რუსული ტანკისთვის უკრაინელებს ერთი „ჯაველინი“ ან „მილანი“ მაინც უნდა ჰქონდეთ გამზადებული, რათა სათანადოდ „მიესალმონ“ აგრესორს, თუ ის ქვეყანაში შემოჭრას დააპირებს. საბედნიეროდ, უკრაინის არმია ის აღარაა, რაც 2014 წელს იყო — ისინი განვითარდნენ, და ბევრად უფრო მაღალ დონეზე არიან. და მაინც, საპირისპირო მხარეს 100 000-კაციანი არმიაა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ისინი შეძლებენ მათ შეკავებას, თუ რუსეთი შემოიჭრება... ამიტომაც მტკიცედ ვუჭერ მხარს უკრაინისთვის თავდაცვითი შეიარაღების მიწოდებას — რათა კრემლისთვის ცხადი გახდეს, რომ უკრაინელები არ დანებდებიან, წინააღმდეგობას გაწევენ და რუსებს მხოლოდ ეკონომიკურად კი არა, სამხედრო თვალსაზრისითაც მძიმე საფასურის გადახდა მოუწევთ — რუსეთში ბევრი ცხედარი დაბრუნდება, რუს დედებს კი მათი გლოვა მოუწევთ, რაც მე პირადად, სულაც არ მინდა ვნახო.

— მოლაპარაკებების წინ რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება შეეჩერებინა — იმის გათვალისწინებით, რომ რუსებს ფაქტობრივად დე ფაქტო ვეტო უკვე აქვთ ამ საკითხზე, რა იყო ამ მოთხოვნის მიზანი? ამ ყველაფრის ქაღალდზე გადატანა?

— ისინი ქაღალდზე ვერაფერს მიიღებენ. და მეტიც, მათ ამ მცდელობას, როგორც ჩანს, საპირისპირო ეფექტი ექნება — უკრაინისა და საქართველოს სურვილი, ნატოში შევიდნენ, არახალია, მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ რუსეთის მანევრების წყალობით, უკვე ფინეთსა და შვედეთშიც დაფიქრდნენ ამაზე. მართლა ვერ გამიგია — პუტინს მრჩეველი არ ჰყავს თუ უბრალოდ არავის უსმენს? ყირიმის მიტაცებამდე უკრაინაში არასდროს ყოფილა ნატოში შესვლის მოწადინე საგრძნობი უმრავლესობა. ამ ყველაფერს ერთ დასკვნამდე მივყავართ — პუტინს ნატოს იარაღის ან ევროკავშირის ეკონომიკური კეთილდღეობის კი არ ეშინია, არამედ ჩვენი ცხოვრების წესის — დემოკრატიული საზოგადოებისა. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან აშინებს ის ფაქტი, რომ უკრაინა, რომელიც ისტორიულად ძალიან ახლოსაა რუსეთთან, შესაძლოა ევროპულ, დემოკრატიულ ქვეყნად იქცეს, კანონის უზენაესობითა და სტაბილური ეკონომიკით, და რუსებს დაანახვოს, რომ თურმე სხვანაირად, სხვაგვარ ქვეყანაში ცხოვრებაც შეიძლება. უკვე ყველასთვის ცხადია, რომ ეს არის მისი მთავარი კოშმარი. ჩვენ ეს ვიცით — სწორედ ამიტომ არ უნდა მივცეთ მას მეორე იალტის მოწყობის შესაძლებლობა. ეს დრო დიდი ხანია წავიდა.

— ფინეთი და შვედეთი როგორმე უზრუნველყოფენ საკუთარ უსაფრთხოებას — საქართველოს და უკრაინას რა ბედი ეწევათ? აღმოსავლეთ პარტნიორობის ბოლო სამიტზე ევროპული პერსპექტივა საერთოდ არ იყო ნახსენები...

— მე მესმის მათი იმედგაცრუებისა: სამი ქვეყნისთვის, რომლებსაც აქვთ ასოციირების ხელშეკრულებები და თავისუფალი ვაჭრობა, არ ჩანს დამატებითი, ფორმალური პერსპექტივა. მეორე მხრივ, მინდა გავიმეორო, რაც მანამდეც ბევრჯერ მითქვამს: ეს არ ნიშნავს, რომ ე.წ. საშინაო დავალებების წერას უნდა შეეშვათ. მოლდოვისთვის არაფერი გვაქვს სასაყვედურო, თუ იმ მცირე ეპიზოდს არ გავიხსენებთ, როცა გაზპრომი აშანტაჟებდათ. მაგრამ რაც შეეხება უკრაინასა და საქართველოს... მაშფოთებს, რომ რუსეთის მხრიდან აგრესიის ფონზე, უკრაინაში მაინც რჩებათ დრო პოლიტიკური ომებისთვის მოქმედ პრეზიდენტსა და მის წინამორბედს შორის. მთელი ეს დისკუსია, რომ როცა პოროშენკო დაბრუნდება, დააპატიმრებენ და ა.შ., მგონი ახლა შინაომების დრო არ არის — ერთად უნდა დადგნენ ეგზისტენციალური საფრთხის წინააღმდეგ. **რაც შეეხება საქართველოს — თავად ის ფაქტი, რომ შარლ მიშელი სამჯერ იყო საქართველოში ჩამოსული...** ეს ხელწამოსაკრავი ამბავი არ არის. იმედგაცრუებულები ვართ და ამ იმედგაცრუებას რამდენიმე ადრესატი ჰყავს — პირველ რიგში, მთავრობა, სადაც, როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ შეუძლიათ ევროკავშირის გაფრთხილებების და კეთილმეგობრული რჩევების უგულვებელყოფა!.. მეორე მხრივ, მთლად კონსტრუქციულ განწყობას არც ოპოზიცია ამჟღავნებს. ერთადერთი, ვინც ამ ყველაფრით სარგებელს ნახულობს და ბედნიერია, ისევ და ისევ პუტინია. ასე რომ, მინდა მოვუწოდო ქართველ პოლიტიკურ აქტორებს, ქვეყნის რეალურ ინტერესებსა და გრძელვადიან პერსპექტივებზე იფიქრონ...

— 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველო დასავლეთისთვის თითით საჩვენებელი ქვეყანა იყო რეგიონში, უკრაინაში კი არ იყო ომი და არც ყირიმი იყო ანექსირებული. მიუხედავად ამისა, ნატოში გაწევრების სამოქმედო გეგმის მოცემაზე უარი გვითხრეს, მხოლოდ დაგვპირდნენ. ეს უარი კონკრეტული ქვეყნების სკეპტიციზმმა განაპირობა და ერთ-ერთი მათ შორის თქვენი ქვეყანა იყო. შეიძლება ითქვას, ეს სკეპტიციზმი მას შემდეგ არ განელებულა, თუ არ იმატა კიდეც. რა უნდა მოხდეს, რომ გერმანიამ მეტი კეთილგანწყობით შეხედოს ამ საკითხს?

— დიახ, საიდუმლო არაა, რომ ეს ქვეყნები გერმანია და საფრანგეთი იყვნენ. 2008 წელს ამ ქვეყნებისთვის მაპირი რომ მიგვეცა, შესაძლოა, ამას გარკვეული რეაქცია, უკმაყოფილება მოჰყოლოდა მოსკოვიდან, მაგრამ არა ისეთი, რისი მომსწრეც დღეს ვართ. ახლა ალბათ სხვა ვითარება გვექნებოდა, მაგრამ რას იზამ — დღეს ვართ იქ, სადაც ვართ და აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ. ნატოს გაფართოებისას ორ საკითხს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა — პირველი, ეს თავად კონკრეტულ ქვეყანას უნდა უნდოდეს. ჩვენ ძალით არავის ვიწვევთ არც ნატოსა და არც ევროკავშირში, რუსეთისგან განსხვავებით. და მეორე — ამან ჩვენი კოლექტიური უსაფრთხოება უნდა გაზარდოს. ერთადერთი მიზეზი, რატომაც დღეს რუსული ჯარები უკრაინის საზღვართან არიან და არა ბალტიის ქვეყნების საზღვართან, არის ის, რომ ეს ქვეყნები ნატოში არიან... გულდასაწყვეტია, რომ ამ გარემოებებში გვიწევს მსგავს საკითხებზე საუბარი — ვისურვებდი, რომ თავად რუსეთის შიგნით მომხდარიყო აუცილებელი ცვლილებები. ოდესმე ეს ცვლილებაც მოხდება, მაგრამ ალბათ არა პუტინის დროს, ყოველ შემთხვევაში, სანამ ის მდიდარი და ცოცხალი ზის კრემლში. პუტინის პოლიტიკის მიზანია, ეს ცვლილება რაც შეიძლება გადაავადოს, მაგრამ ვფიქრობ, მისმა ქმედებებმა უკვე გამოიწვია დასავლეთში ღირებულებებისა და მიდგომების გადაფასება რუსეთის მიმართ — ე.წ. დაშოშმინების პოლიტიკა არც ისე მომხიბლავად გამოიყურება, როგორც ადრე.

ვაჟა თავგერიძე

რუსეთი სერიოზულად ემზადება

უკრაინის უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნის განცხადებით, 5 იანვარს, უკრაინაში რუსეთის საელჩოს დიპლომატთა ნაწილის ცოლები და შვილები მოსკოვში ავტობუსით გაემგზავრნენ. გარდა ამისა, რუსი დიპლომატების 30-მდე ოჯახის წევრმა კიევი და ლვოვი შემდგომ დღეებში დატოვა, ხოლო რუსეთის კიდევ ორ საკონსულოში დიპლომატებს განუცხადეს, რომ უკრაინის დატოვებისთვის უნდა მოემზადონ.

უკრაინელი და ამერიკელი ოფიციალური პირები მიიჩნევენ, რომ რუსეთის საელჩოს პერსონალის შემცირება ნაწილობრივ შეიძლება იყოს პროპაგანდა, მოსალოდნელი კონფლიქტისთვის მომზადება ან ხრიკი.

„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთის მთავრობა უკრაინაში რუსეთის საელჩოს დიპლომატთა ოჯახის წევრების ევაკუაციისთვის ემზადებოდა“, — განაცხადა აშშ-ის ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა.

რუსეთის საგარეო უწყებაში კი უარყოფენ ინფორმაციას, თითქოს უკრაინიდან რუსი დიპლომატების ევაკუაცია მიმდინარეობს. საგარეო უწყებაში განაცხადეს, რომ „უკრაინის დედაქალაქ კიევში მდებარე რუსეთის საელჩო საშტატო რეჟიმში მუშაობს“.

სენატორები პუტინს აფრთხილებენ

კიევში ვიზიტით მყოფი ამერიკელი სენატორების ორპარტიული ჯგუფი უკრაინას სოლიდარობასა და იარაღის მიწოდებას ჰპირდება და ვლადიმერ პუტინს აფრთხილებს, უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო შეტევისგან თავი შეიკავოს. **უკრაინამ და მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა განგაში ატეხეს მას შემდეგ, რაც რუსეთმა ათიათასობით ჯარისკაცი მოაგროვა უკრაინის საზღვრებთან და აშშ-სგან უსაფრთხოების გარანტიები მოითხოვა, მათ შორის უკრაინის ნატოში გაწევრიანების დაბლოკვა.**

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, აშშ უკრაინის ყველაზე ძლიერი მხარდამჭერია მოსკოვთან დაპირისპირებაში.

„ვფიქრობ, ვლადიმირ პუტინმა თავის კარიერაში ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც სათანადოდ ვერ შეაფასა, რამდენად გაბედულად შეებრძოლება მას უკრაინელი ხალხი, თუ ის უკრაინაში შეიჭრება. ჩვენ დამანგრეველ ეკონომიკურ სანქციებს დავაწესებთ, მაგრამ რაც მთავარია, უკრაინელ ხალხს ლეტალურ იარაღს მივაწოდებთ, რომელიც მათ საკუთარი სიცოცხლის დასაცავად სჭირდებათ“, — განაცხადა სენატორმა რიჩარდ ბლუმენტალმა.

ბრიტანეთმა უკრაინისთვის იარაღის მიწოდება დაიწყო

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის მდივნის, ბენ უოლესის განცხადებით, ბრიტანეთმა უკრაინისთვის ტანკსაწინააღმდეგო იარაღის მიწოდება დაიწყო, რათა ქვეყანას ინტერვენციის შემთხვევაში თავის დაცვაში დაეხმაროს. სისტემების პირველი პარტია უკრაინაში უკვე ჩავიდა. ამასთან, ბრიტანელი სამხედროების მცირე ჯგუფი მოკლე პერიოდით უკრაინაში ტრენინგს ჩაატარებს.

თავდაცვის მდივანს არ დაუკონკრეტებია მიწოდებული იარაღის რაოდენობა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს არ არის სტრატეგიული შეიარაღება და რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. მისი თქმით, მიწოდებული სისტემები თავდაცვითია. ბრიტანელი მაღალჩინოსნის თქმით, არსებობს შეშფოთების ლეგიტიმური და რეალური მიზეზი, რომ რუსეთის სამხედრო დანაყოფები ინტერვენციისთვის იქნება გამოყენებული. ამასთან, მან განაცხადა, რომ საერთაშორისო სანქციების პაკეტი უკვე მზად არის იმ შემთხვევისთვის, თუ რუსეთი უკრაინაში დესტაბილიზაციურ ქმედებებს განახორციელებს. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მდივნის განცხადებას მიესალმა უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ მან რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ლონდონში მიიწვია შექმნილი კრიზისის განსახილველად, თუმცა მან არ იცის, მიიღებს თუ არა რუსეთი მიწვევას.

კანადური სპეცრაზმი უკრაინაში

ნატოსა და რუსეთს შორის მზარდი დაძაბულობის ფონზე, კანადამ უკრაინაში სპეცრაზმის მცირე კონტინგენტი გაგზავნა. კანადის ხელისუფლებამ უკრაინაში სპეცდანიშნულების ჯგუფის გაგზავნის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც გასულ კვირას უკრაინაში შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილებისკენ მიმართული დიპლომატიური მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და რუსული ძალები კვლავ უკრაინის საზღვართან დარჩნენ.

სპეცრაზმის გაგზავნა უკრაინაში არის ნატოს მოკავშირეების ძალისხმევის ნაწილი, შეაკავონ რუსეთის აგრესია უკრაინაში და განსაზღვრონ გზები უკრაინის დასახმარებლად. სპეცდანიშნულების რაზმის ამოცანა ასევე იქნება, შეიმუშაოს ევაკუაციის გეგმა კანადის დიპლომატიური პერსონალისთვის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი მელანი ჯოლი უკრაინაში ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფება ქვეყნის სუვერენიტეტისადმი კანადის მხარდაჭერის დასადასტურებლად.

ნაჯვარი ცხოველები პირველად შუმერებმა გამოიყვანეს

ახალი კვლევა ცხადყოფს, რომ მესოპოტამიელები საომარი ურმების საზიდად შინაური და გარეული ვირების ნაჯვარებს ჯერ კიდევ 4500 წლის წინ იყენებდნენ, ამ მიზნით ცხენების გამოყვანამდე სულ მცირე 500 წლით ადრე.

ჩრდილოეთ სირიაში აღმოჩენილი უძველესი ძვლების ანალიზი პასუხს სცემს დიდი ხნის კითხვას — ცხოველის რომელ ტიპს მიეკუთვნებოდნენ „კუნგები“, რომლებსაც უძველეს წყაროებში საომარი ურმების გამწევებად აღწერდნენ.

„ჩონჩხებიდან ვიცოდით, რომ ისინი ცხენის მსგავსი ცხოველები იყვნენ, მაგრამ არ ემთხვეოდნენ არც ვირის და არც სირიული გარეული ვირის ზომებს. შესაბამისად, ისინი გარკვეულწილად განსხვავებული იყვნენ, მაგრამ უცნობი იყო, რაში მდგომარეობდა ეს განსხვავება“, — ამბობს კვლევის თანაავტორი, პარიზის ჟაკ მონოდის ინსტიტუტის გენომიკოსი ევა-მარია გეიგლი.

თუმცა, ახალი კვლევა აჩვენებს, რომ კუნგები მდედრი შინაური ვირისა და მამრი სირიული გარეული ვირის უნაყოფო ჰიბრიდები იყვნენ. უძველესი ჩანაწერები კუნგებს უაღრესად დაფასებულ, ძალიან ძვირ ცხოველებად იხსენიებს, რაც გეიგლის თქმით, შეიძლება მათი გამოყვანის პროცესის სირთულით აიხსნას.

ვინაიდან ყოველი კუნგა უნაყოფო იყო, როგორც სხვა ჰიბრიდები, მაგალითად, ჯორები, მის გამოსაყვანად მდედრი შინაური ვირი უნდა შეეჯვარებინათ მამრ გარეულ ვირთან, რომელიც უნდა დაეჭირათ. ეს ამოცანა განსაკუთრებით რთული იყო, რადგან ველური ვირები შინაურებზე სწრაფად დარბიან, კუნგებზე სწრაფადაც კი და მათი მოთვინიერება შეუძლებელი იყო.

„ეს ნაჯვარები მათ თითქოს ბიოინჟინერიით გამოჰყავდათ. ისინი ჩვენთვის ცნობილი უძველესი ჰიბრიდებია და მათ ეს თითოეული კუნგას გამოყვანისას უნდა გაეკეთებინათ. ამით აიხსნება მათი სიძვირე და ფასეულობაც“, — ამბობს გეიგლი.

საომარი ვირები

კუნგები რამდენიმე უძველეს მესოპოტამიურ ლურსმულ ტექსტშია მოხსენიებული; ოთხთვლიან ურემში შებმულები არიან გამოსახული დაახლოებით 4500 წლის წინანდელ შუმერულ მოზაიკაზეც. **არქეოლოგები ეჭვობდნენ, რომ ისინი გარკვეული სახის ნაჯვარი ვირები იყვნენ, მაგრამ არ იცოდნენ ის ცხენის მსგავსი ცხოველი, რომლისგანაც ისინი გამოჰყავდათ.**

ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობდა, რომ სირიული გარეული ვირები ზედმეტად პატარები იყვნენ, ვირებზე უფრო პატარები, რათა კუნგების გამოსაყვანად შეეჯვარებინათ. მათი სიმაღლე დაახლოებით ერთ მეტრს აღწევდა.

ეს სახეობა ამჟამად გადაშენებულია, მსოფლიოში უკანასკნელი სირიული გარეული ვირი 1927 წელს, მსოფლიოს უძველეს ზოოპარკში, ვენის შენბრუნის ზოოპარკში მოკვდა. მისი ნაშთები ამჟამად ქალაქის ბუნების ისტორიის მუზეუმში ინახება. ახალ კვლევაში, მეცნიერებმა ერთმანეთს შეადარეს ვენაში დაცული უკანასკნელი გარეული სირიული ვირის ნაშთების გენომი და 11 000 წლის წინანდელი გარეული ვირის ძვლების გენომი, რომელიც ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორიაზე, არქეოლოგიურ ძეგლ გიობექლი-თეფეზე აღმოაჩინეს. შედარებამ აჩვენა, რომ ორივე ცხოველი ერთ სახეობას ეკუთვნოდა, მაგრამ უძველესი გარეული ვირი გაცილებით დიდი ყოფილა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სირიული გარეული ვირის სახეობა ბოლო ხანებში დაპატარავდა, სავარაუდოდ, გარემოს მხრიდან მომდინარე სტრესის გამო.

ძველი მესოპოტამია

ისტორიკოსთა აზრით, კუნგების გამოყვანა პირველად შუმერებმა დაიწყეს, დაახლოებით ძვ. წ. 2500 წლისთვის, სულ მცირე 500 წლით ადრე, ვიდრე პირველ მოშინაურებულ ცხენებს შემოიყვანდნენ კავკასიონის მთების ჩრდილოეთით მდებარე სტეპებიდან.

როგორც უძველესი ჩანაწერები აჩვენებს, შუმერების შემდეგმა სახელმწიფოებმა, მაგალითად, ასურელებმა, კუნგების გამოყვანა და გაყიდვა საუკუნეების განმავლობაში გააგრძელეს. ასურეთის დედაქალაქ ნინევიაში დამზადებულ ქვის ფილაზე, რომელიც ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება, გამოსახულია ორი კაცი, რომლებსაც მათ მიერ დაჭერილი ველური ვირი მიჰყავთ.

ერთ-ერთ უახლეს კვლევაში შეისწავლეს კუნგას ძვლები, რომლებიც ჩრდილოეთ სირიაში, სამეფო სამარხ კომპლექს თელ-უმ-ელ-მარაზე აღმოაჩინეს; სამარხი ძვ. წ. 3000-2000 წლებით თარიღდება. მიჩნეულია, რომ ეს ძეგლი წარმოადგენს უძველეს ქალაქ ტუბას ნანგრევებს, რომელსაც ეგვიპტურ წარწერებშიც იხსენიებენ.

კვლევის თანაავტორმა, პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგმა ჯილ ვებერმა ძვლები დაახლოებით 10 წლის წინ აღმოაჩინა. ვებერი ვარაუდობს, რომ თელ-უმ-ელ-მარაზე აღმოჩენილი ცხოველის ნაშთები კუნგებს ეკუთვნის, რადგან მათ კბილებს ლაგამის კვალი აღენიშნება; არის მიზანმიმართული კვების ნიშნებიც, ჩვეულებრივი ვირების ბალახობისგან განსხვავებული.

კუნგები შეიძლება ცხენებზე სწრაფად დარბოდნენ და ამიტომ, მკვლევრები ეჭვობენ, რომ საომარ ურმებში მათი გამოყენება მესოპოტამიაში მოშინაურებული ცხენების შეყვანის შემდეგაც უნდა გაგრძელებულიყო.

თუმცა, ვირებისგან კუნგების გამოყვანა თანდათან შეწყვიტეს, სავარაუდოდ იმიტომ, რომ გაცილებით ადვილი იყო შინაური ცხენების გამრავლება.

კვლევა Science Advances-ში გამოქვეყნდა.

მიხეილ ჟაბუკაშვილი

მომზადებულია Live Science-ის მიხედვით.

◎ მოვლენის წინ

ავთანდილ ასათიანი საფეხბურთო ფორუმზე

საქართველოს ფუტსალის ნაკრები დღეს ნიდერლანდებში მიემგზავრება, სადაც არსებობის ისტორიაში პირველად იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატში.

ისტორიული ფორუმის ჯგუფური ეტაპის მატჩებს საქართველოს ნაკრები გრონინგენში გამართავს. ჯგუფურ ეტაპზე **ავთანდილ ასათიანის** გუნდი აზერბაიჯანს, ბოსნია-ჰერცეგოვინას და ესპანეთს დაუპირისპირდება. მატჩები 22, 26 და 29 იანვარს გაიმართება.

ევროპის მთავარ სანაკრებო ტურნირზე წასვლამდე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა** გუნდთან ერთად გავლილი გზა გაიხსენა და თავისი გუნდის მიზნების შესახებ ისაუბრა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ: „ამდენი წელია ამ სპორტში ვარ და ევროპის ჩემპიონატზე გასვლა ჩემი ნატვრა იყო. ეს მომენტი რომ ახლოვდება, რა თქმა უნდა, პულსაცია მემატება. სასწაული გრძნობაა და ბევრჯერ მითქვამს, რომ ყველას მინდა გავუზიარო და მოვუყვე, რასაც ვგრძნობ. ამასთან ერთად, ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ქვეყანას კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე წარმოადგენ და, პირველ რიგში, სიამაყის გრძნობა გეუფლება.

როდესაც მწვრთნელი ხარ, ბევრ რამეს გრძნობ. იმასაც გრძნობ, როდესაც თამაში წაგებულია, მაგრამ მაინც ბოლომდე იბრძვი. გადამწყვეტი იყო ის ეტაპი, როდესაც პლეი ოფში გავედით და რუმინეთის ნაკრებთან გვქონდა სასწაული თამაში, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ მოვიგეთ. სწორედ იმ წაგებამ დაგვანახა, რომ გვაქვს რესურსი და შეგვიძლია ვითამაშოთ იქ, სადაც მოვხვდით, ამიტომ სწორედ ეს იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი. მართალია, ვერ გავედით, მაგრამ გავაკეთეთ სწორი ანალიზი. დიდი როლი ითამაშა ფეხბურთის ფედერაციამ, რადგან ის მოთხოვნილებები, რაც მწვრთნელებს გვქონდა, შეგვისრულეს და რეალობად ვაქციეთ ჩვენი მიზანი.

როდესაც ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე, ფუტსალს ძალიან რთული პერიოდი ედგა. ეს სპორტი თითქმის არავინ იცოდა და სულ წაგებები გვქონდა. სწორედ ამ წაგებებით გადავლახეთ მარცხის შიში და კომპლექსი, წნეხი მოგვეხსნა და დავიწყეთ სხვა ეტაპზე გადასვლა. ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ ეს ყველაფერი შენარჩუნდეს და მოგება სენსაციად აღარ ჩაითვალოს.

ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა საფრანგეთში პირველმა გასვლამ მოგვიტანა — 4:4, რომელიც ყველას ახსოვს და მოპოვებულმა ქულამ, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სულ ვეუბნებოდი ბიჭებს, რომ საფრანგეთში არწაგება ბოლო ტურში ევროპის ჩემპიონატისთვის ბრძოლის შანსს მოგვიტანდა. ფინალამდე მისვლა ვისწავლეთ და სწორედ იმ ქულამ მიგვიყვანა გადამწყვეტ მატჩამდე თბილისში.

ესპანეთზე საუბარი და დროის დაკარგვა არც ღირს... სამივე ნაკრებს საკმაოდ კარგად ვიცნობთ, თუმცა მთავარი დატვირთვა დანარჩენ სამ გუნდზე იქნება. ბოსნია და ჰერცეგოვინა საკვალიფიკაციო ეტაპის მთავარი აღმოჩენა იყო, რადგან ურთულეს ჯგუფში დაიკავა პირველი ადგილი, რაც წარმოუდგენელია, რომ შემთხვევით მოხდეს ფუტსალში. აზერბაიჯანის ნაკრები უმაღლეს დონეზეა ინდივიდუალური თამაშით, რადგან ძალიან მაღალი დონის ბრაზილიელი მოთამაშეები ჰყავს. ვფიქრობ, რომ რთული ჯგუფია, თუმცა არც გვქონია ილუზია, რომ ევროპის ჩემპიონატზე იოლი მეტოქეები გვეყოლებოდა.

არასერიოზული დაპირება იქნება, თუ ვიტყვი, რომ გავალთ და სამივე თამაშს მოვიგებთ, თუმცა გულშემატკივარს ვპირდები, რომ ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნისთვის. წარმატების მისაღწევად თავი გვაქვს გადადებული. გვესმის, რომ ძალიან რთული პროცესია, თუმცა, ამავდროულად საინტერესო და სასიამოვნოა. ვფიქრობ, ბიჭებისთვის იქნება ყველაზე ღირსეული, რადგან ამდენი წვალების შემდეგ აღმოჩნდნენ იქ, სადაც დიდი ხანია გვინდა მოხვედრა მთელ ქვეყანას. რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი მაქსიმუმს გააკეთებს. დიდი როლი ექნება ფსიქოლოგიურ ფაქტორს, განსაკუთრებით პირველ თამაშში, თუმცა აზერბაიჯანს ეს წნეხი არ ექნება, რადგან მეტოქე რეგულარულად თამაშობს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

ძალიან გაგვიმართლა ამ მოთამაშეებში (ნატურალიზებული ფეხბურთელები). გარდა იმისა, რომ პროფესიონალები არიან, ძალიან კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ და ისე შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში, რომ საერთოდ არ გვქონია პრობლემა. ამაში დიდი როლი მიუძღვით ჩვენს მოთამაშეებს, რომლებმაც ამ ბიჭებს არ აგრძნობინეს, რომ სხვა გუნდში, სხვა ქვეყნაში მოვიდნენ.

ვფიქრობ, სწორად შერჩეული რგოლები იყო გაძლიერებული და ამ ბიჭებმაც გაამართლეს, რისთვისაც აუცილებელია მათ კიდევ ერთხელ გადავუხადოთ მადლობა. მინდა გავიხსენო საფრანგეთთან მატჩის მომენტი, როდესაც საოცარი თამაშის შემდეგ ბინიო დროშას კოცნიდა... უბრალოდ შეუძლებელია ეს ითამაშო, აუცილებლად გულიდან უნდა მოდიოდეს და ძალიან დასაფასებელია.

ძალიან ბევრ გულშემატკივარს უნდა საქართველოს ქომაგობა ნიდერლანდებში და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გულშემატკივარი მწვრთნელის პირველი დამხმარეა, რადგან ფეხბურთელთა მოტივირებაზე იმ მომენტში მწვრთნელს დროის დახარჯვა აღარ სჭირდება. საფრანგეთთან მოგებულ გადამწყვეტ მატჩზე ტრიბუნები 33 პროცენტით იყო შევსებული, თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. როდესაც ქომაგების ხმა გვესმოდა, იმხელა მუხტი მოდიოდა, რომ სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა გამარჯვება. არ ვიცით რა იქნებოდა, გულშემატკივარი რომ არ მოსულიყო. ძალიან მომთხოვნები არიან, სამაგიეროდ საოცარ სიყვარულს გვიბრუნებენ ტრიბუნიდან“.

◎ ლეგიონერები

ოკეანის გაღმა...

ᲝᲠᲛᲐᲒᲘ დუბლი და მატჩის საუკეთესო კალათბურთელი — ასეთი იყო სანდრო მამუკელაშვილი NBA-ს განვითარების (G) ლიგაში. ქართველმა ლეგიონერმა მიმდინარე სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

22 წლის ფორვარდი, რომელიც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მოქმედი ჩემპიონის, „მილუოკი ბაქსის“ წევრია, სათამაშო გამოცდილების მისაღებად მილუოკელებმა თავიანთ ფარმ-გუნდში, „ვისკონსინ ჰერდში“ გაანათხოვრეს, სადაც სანდრო დიდ სათამაშო დროს იღებს და პარკეტზეც მაქსიმალურად იხარჯება.

მორიგ მატჩში ვისკონსინელები სტუმრად „ჩიკაგო ბულზის“ შვილობილ გუნდ „უინდი სიტის“ შეხვდნენ და დაძაბულ ბრძოლაში 113:109 დაამარცხეს. მამუკელაშვილი შეხვედრაში საუკეთესო იყო. ჩვენებურს 24 ქულით და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი ჰქონდა. მან საკუთარ გუნდს ასევე 3 პასი და 1 დაფარება შესძინა. სანდრომ 13-დან 7 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

„ვისკონსინი“ 3 მოგებითა და 2 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 18 იანვარს „ლეიკლენდ მეჯიქთან“ გამართავს, თუმცა მანამდე სანდროს „მილუოკი ბაქსში“ დაბრუნებამ შეიძლება მოუწიოს.

გუშინ: NBA. „კლიპერსი“ — „ინდიანა“ 139:133. **გოგა ბითაძე** — 17 ქულა (პირადი რეკორდი), 8 მოხსნა, 2 პასი.

...გამოღმა

„ᲚᲔᲜᲝᲕᲝ ᲢᲔᲜᲔᲠᲘᲤᲔᲡ“ ცენტრი გიორგი შერმადინი ლიგა ენდესას მე-11 ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ქართველმა კალათბურთელმა ეს ჯილდო კარიერაში მე-13-ედ მიიღო.

ესპანეთის ჩემპიონატის მე-11 ტური ჯერ კიდევ გასული წლის 20 ნოემბერს გაიმართა, მაგრამ „ბრეოგანისა“ და „ჟუვენტუტ ბადალონას“ გადადებული მატჩი მხოლოდ ახლახან მოეწყო, ამიტომაც ტურის MVP მხოლოდ ახლაღა გამოვლინდა.

შერმადინმა მე-11 ტურში „გრან კანარიასთან“ 22 წუთში 25 ქულა, 10 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი არათუ მატჩში, არამედ მთლიანად ტურში ყველაზე მაღალი გამოდგა — 41. მან 7-დან 7 ორქულიანი და 13-დან 11 საჯარიმო ჩააგდო, მასზე მეტოქეები 10-ჯერ დაჯარიმდნენ და საგულისხმოა, რომ როცა გიორგი პარკეტზე იყო მის გუნდს +14 დაუფიქსირდა, ხოლო როცა ქართველი ცენტრი ისვენებდა (17 წუთი), „ტენერიფეს“ -5 ჰქონდა ქულებში ჩამორჩენა.

აქვე გეტყვით, რომ „ლენოვო ტენერიფე“ 8 მოგებით და 6 წაგებით ლიგა ენდესაში მერვე ადგილზეა.

გუშინ: ვითიბი ლიგა. „ზენიტი“ — ცსკა 81:68. **თორნიკე შენგელია** — 8 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი.

◎ სამეზობლოში

დუბლი დაუფასდა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეროვნული ნაკრებისა და „ჰათაისფორის“ ფეხბურთელი საბა ლობჟანიძე თურქეთის ჩემპიონატის 21-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. 27 წლის შემტევი საუკეთესო თერთმეტეულში beinsports-მა შეიყვანა.

ქართველმა ფეხბურთელმა „გალათასარაისთან“ (4:2) დუბლი შეასრულა და საკუთარი გუნდიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო. საბასთან ერთად „ჰათაისფორიდან“ კიდევ ერთი შემტევი - მამე დიუფი გამოარჩიეს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ლობჟანიძემ თურქეთის ჩემპიონატში 20 თამაშში 6 ბურთი გაიტანა და 6 საგოლე პასი შეასრულა. მან„გალათასარაის“ პირველ წრეშიც გაუტანა, ხოლო მანამდე, გასულ სეზონში — 2021 წლის მარტში, „ანკარაგიუჯუს“ მაისურითაც შეძლო სტამბოლელთა წინააღმდეგ გატანა.

„ჰათაისფორი“ 21 ტურის შემდეგ 35 ქულით სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა, 20 იანვარს კი „ალანიასფორს“ დაუპირისპირდება.

◎ რჩეულნი

საკამათო...

ᲤᲘᲤᲐ-ს ყოველწლიური პრემიის The Best-ის („ოქროს ბურთის“ ანალოგი) დაჯილდოების ცერემონიაში საფეხბურთო სამყაროს 2021 წლის გამორჩეული პირები დააფასეს.

საგანგებო ჯილდო გადასცეს კანადის ქალთა ნაკრების წევრს **კრისტინ სინგლერს,** რომელმაც ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 308 მატჩში 188 გოლი გაიტანა. გაიხსენეს აგრეთვე ლეგენდარული გერმანელი თავდამსხმელი **გერდ მიულერი,** რომელიც 2021 წელს გარდაიცვალა.

აქვე ვიტყვით, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება საკმაოდ საკამათო გამოდგა. თუმცა, ესაა ფეხბურთი — დავა ყველაფერზე შეიძლება, მაგრამ ევრო 2020-ის გამარჯვებულები და გამორჩეულები არ დააფასეს. **საუკეთესო ქალი მეკარე** კრისტიან ენდლერი (ჩილე/პარი სენ-ჟერმენი/ლიონის ოლიმპიკი). **საუკეთესო მამაკაცი მეკარე** ედუარდ მენდი (სენეგალი/ჩელსი) **პუშკაშის პრემია** ერიკ ლამელა (არგენტინა — არსენალი — ტოტენჰემი). **ფიფა-ს სამართლიანი თამაშის ჯილდო**. დანიის ნაკრები. **ქალთა საუკეთესო მწვრთნელი** ემა ჰეისი (ინგლისი/ჩელსი). **მამაკაცთა საუკეთესო მწვრთნელი** ტომას ტუხელი (გერმანია/ჩელსი). **ფიფა-ს გულშემატკივართა ჯილდო** დანიელი და ფინელი ფანები (ევრო2020-ზე კრისტიან ერიქსენის ეპიზოდში გამოვლენილი სოლიდარობისთვის). წლის საუკეთესო 11 მოთამაშე ქალებში **ენდლერი, ბრონზე, რენარდი, ბრაიტი, ერიქსონი, ბანინი, ლოიდი, ბონანსეა, მიდემა, მარტა, ალექს მორგანი.** წლის საუკეთესო 11 მოთამაშე კაცებში **დონარუმა, ალაბა, ბონუჩი, რუბენ დიასი, ჟორჟინიო, კანტე, კევინ დე ბრუინი, კრიშტიანუ რონალდუ, ჰალანდი, ლევანდოვსკი, მესი.** საუკეთესო ქალი მოთამაშე **ალექსია პუტელასი (ესპანეთი/ბარსელონა).**

საუკეთესო მამაკაცი მოთამაშე **რობერტ ლევანდოვსკი** (ბაიერნი).

მოულოდნელად, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წლის საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელის ნომინაციაში ვერ მოხვდა კრიშტიანო რონალდო — ნომინანტები იყვნენ რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი), ლიონელ მესი (პსჟ) და მოჰამედ სალაჰი (ლივერპული), საუკეთესოდ კი რობერტ ლევანდოვსკი აღიარეს.

პოლონელმა ზედიზედ მეორედ მოიგო The Best და გაიმეორა კრიშტიანო რონალდოს, რონალდინიოსა და რონალდოს შედეგი, რომლებსაც ეს საპატიო ჯილდო ასევე ზედიზედ ორჯერ აქვთ მოგებული.

მიუხედავად იმისა, რომ კრიშტიანო რონალდო წლის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში ვერ მოხვდა, პორტუგალიელ ლეგენდას სპეციალური პრიზი გადასცეს — მან 2021 წელს ირანელი ალი დაეის რეკორდი გააუმჯობესა და ნაკრებში ყველაზე მეტი გატანილი გოლი დაუგროვდა — 115.

ნიკა – უკვე ექვს ერში!

2021 წლის საქართველოს საუკეთესო მსაჯი ახალი წლიდან ახალ ისტორიას წერს. ნიკა ამაშუკელი ტიერ2 ქვეყნებიდან პირველი მსაჯია, რომელიც ექვსი ერის კარს შეაღებს და თებერვალში ორ თამაშს გაუძღვება.

6 თებერვალს, 2022 წლის ექვსი ერის პირველ ტურში, ის საფრანგეთისა და იტალიის მატჩზე რეფერის პირველი ასისტენტი იქნება, ხოლო 27 თებერვალს, მესამე ტურში, ირლანდიისა და იტალიის შეხვედრას უკვე ცენტრში მოემსახურება.

მნიშვნელოვანია, რომ ამ უძველეს, თითქმის 140-წლიანი ისტორიის მქონე ტურნირში, ამაშუკელი 2023 წლის მსოფლიო თასის წინ მიიწვიეს. თებერვალ-მარტში ევროპის უძლიერეს ჩემპიონატში სულ 15 თამაშია. შესაბამისად, შეირჩა ამ მომენტისთვის 15 უძლიერესი არბიტრი და სასიხარულოა, რომ მათგან ერთ-ერთი ქართველია.

თავად ნიკა ამ დანიშვნას მოულოდნელს უწოდებს:

„ვერც კი წარმოვიდგენდი, ექვსი ერის ცენტრში თუ მომიწევდა მსაჯობა. ლოგიკური იქნებოდა, თუ მხოლოდ გვერდით მსაჯად მივიღებდი დანიშვნას, მაგრამ სრული შოკი იყო, როდესაც ჟოელ ჟუშმა დამირეკა და მითხრა – 27 თებერვალს ირლანდიისა და იტალიის მატჩს ცენტრში იმსაჯებო. ექვს ერზე პრესტიჟული ტურნირი არ არსებობს და მის ნაწილად ყოფნა უდიდესი პატივია, მით უმეტეს მეორე სარაგბო დონის ქვეყნის წარმომადგენლისთვის, რისი პრეცედენტი აქამდე არასდროს ყოფილა.

ბედნიერი ვარ, რადგან ასეთი კონკურენციის ფონზე 15 საუკეთესო მსაჯს შორის შემარჩიეს. უფრო მეტად კი ის მახარებს, რომ არა მხოლოდ ქართულ რაგბის, არამედ მთელ ქვეყანას წარმოვადგენ. რაგბიში მსაჯი წარმოუდგენელი მნიშვნელობის ფიგურაა, მუდამ ყურადღების ცენტრშია და ვეცდები ღირსეულად გავართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ასევე ეს დანიშვნა უნდა გახდეს მოტივაცია ტიერ2 ქვეყნის წარმომადგენელთათვის, რომ მუშაობით მეტის მიღწევააშესაძლებელი. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ყველა ქართველისთვის სანატრელ ტურნირზე ჯერჯერობით მხოლოდ მე ვიქნები წარმოდგენილი და არა ჩვენი გუნდი. იმედია, ეს დანიშვნა წინაპირობა გახდება და ქართული რაგბი დაიწყებს სვლას ამ სისტემისა და ტურნირისკენ“.

ამაშუკელის ექვს ერში მიწვევას ქართული რაგბის დაფასებად მიიჩნევს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი **ბაჩო ხურციძე**:

„ნიკას ასეთი დონის თამაშებსა და ტურნირებში მიწვევა, მასთან ერთად, ქართული რაგბის დაფასებაცაა. ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ სარაგბო ერი ვართ და ამ დროს ასეთი დანიშვნა უმნიშვნელოვანესია. ვულოცავ ნიკას ამ წარმატებას. პირადად ის, უკვე დიდი ხანია აღარ ითვლება ტიერ2 ქვეყნის წარმომადგენლად და შესულია მსოფლიოს საუკეთესო მსაჯთა სიაში.

მისი წარმატება საუკეთესო მაგალითია იმ ბიჭებისთვის, ვინც ახლა იწყებს, ან ფიქრობს ერთი შეხედვით არაპრესტიჟული პროფესიის, მსაჯობის დაწყებას. რეალურად, თანამედროვე რაგბში მსაჯი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა და წლების წინათ რაგბის კავშირმა ამ მიმართულებით დიდი ინვესტიციები განახორციელა.

ნიკამ ამ წარმატებას თავისი ნიჭისა და თავდაუზოგავი შრომის ფასად მიაღწია. მისი წინსვლა არა მხოლოდ ქართული რაგბის განვითარებას, არამედ ქვეყნის წარმოჩენას უწყობს ხელს. ქართველი მსაჯის ისეთი დონის ტურნირში მიწვევა, როგორიც ექვსი ერია, არა მხოლოდ ქართული რაგბის, არამედ მთელი ქვეყნის პრესტიჟია“.

რაგბის კავშირის მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელი **დავით შუბითიძე** „წუხს“, რომ ნიკა ამაშუკელს დიდი ხნით მოუწევს ქვეყნიდან წასვლა და დიდ 10-ს დააკლდება. იანვრის ბოლოს ის გახდება პირველი ქართველი მსაჯი, რომელიც 7-კაცას მსოფლიო სერიაზე, მალაგას ეტაპზე იმსაჯებს, მერე კი ექვსი ერია:

„ნიკას უმაღლესი დონის ტურნირებზე ისეთი დანიშვნები აქვს, ფაქტობრივად ჩვენთან აღარ იქნება. მიუხედავად ამისა, ის ქვეყნისთვის, მისი და ქართული რაგბის ცნობადობისთვის კოლოსალურ საქმეს აკეთებს. ექვსი ერის ქვეყნებში რაგბის დიდი კულტურა აქვთ და მსაჯებს ქუჩაში ცნობენ, პატივს სცემენ. ჩვენთვის საოცნებო იყო ამ ტურნირში მოხვედრა და კარგია, ამ კუთხით რომ ვვითარდებით. იმედია, მოვა დრო და ჩვენი დონის გუნდებს მიეცემათ ტიერ1-ს ქვეყნებთან სტაბილურად თამაშის შესაძლებლობა.

ინგლისის რაგბის კავშირი 36 ათას მსაჯს აერთიანებს და როდესაც ასეთი კონკურენციის ფონზე ქართველი მსაჯი უმაღლეს საფეხურზე ადის, ეს ქართული რაგბის დიდი დაფასებაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ წარმატებაში ლომის წილი მიუძღვის დევიდ მაკქიუს, რომლის გარეშეც ამ დონესთან ახლოსაც არ ვიქნებოდით. სასიხარულოა, რომ მოდიან სხვა მსაჯებიც, რომლებიც ახლოს არიან უმაღლესი დონის რაგბისთან და იმედი მაქვს, 2022 წლის განმავლობაში მაღალი დონის დანიშვნები კიდევ არაერთი იქნება“.

სანთელი

ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირის წევრები, ახლო ნათესავები და მეზობლები მშობლიური ბოსლევიდან: მამია, ზურაბ, რობერტ, დოდო, ბონდო, მეგონა, ეთერ, დარეჯან, ირა, იზოლდა, დემურ, დათუნა, კოლია, მერაბ, გოგი, თომა, თემურ, ნუკრი, გია, გოგიტა, ზურიკო, სპარტაკ, მანანა, რატი, ლექსო ჭუმბურიძეები; თამრიკო ბარელაძე, ნონა კალაიჯოვი, ვოვა მიქაბერიძე, ტარიელ და გოგილო ღავთაძეები; თინიკო, ბორიკო, ზაზა, ზვიად მახათაძეები, ათოსი ჩაფიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ახლობლების უზომოდ მოყვარული, უპატიოსნესი, ალალ-მართალი ვაჟკაცის, ბატონი

ლომარ (ბუხო) ჭუმბურიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ შვილებს – ნინოს და დათოს, დედმამიშვილებს – ლამარას და მურმანს, რძლებს, სიძეებს, შვილიშვილებს და ყველა ახლობელს.

ტრაგედია წალენჯიხაში

წალენჯიხაში შვილის შემთხვევით გასროლილ ტყვიას დედა ემსხვერპლა. გავრცელებული ინფორმაციით, სავარაუდოდ 20 წლამდე ბიჭის მიერ ნასროლი ტყვია 50 წლამდე ქალს ყელის არეში მოხვდა და საძილე არტერია დაუზიანა.

დაჭრილი ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, გასროლა ტირის თოფიდან მოხდა.

აიცერით, ატარეთ პირბადე, დაიცავით დისტანცია!!!

საქართველოში **არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება, ჰოსპიტალური სექტორის დატვირთვის მაჩვენებელი და ვაქცინაციის პროცესი განიხილეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.**

აღინიშნა, რომ „ომიკრონის“ შტამის გავრცელების მაღალი სისწრაფის გათვალისწინებით, ინფიცირების შემთხვევები ქვეყანაში იზრდება, თუმცა ჰოსპიტალური სექტორის დატვირთვა გაზრდილი არ არის. სპეციალისტების შეფასებით, ვაქცინირებულ პირებში „ომიკრონი“, ისევე, როგორც „დელტა“ შტამი მსუბუქად მიმდინარეობს და ინფიცირებული პირების ჰოსპიტალიზაციის საჭიროება არ დგება. კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ე.წ ბუსტერ დოზებით აცრის მნიშვნელობას ვირუსის მსუბუქად გადატანისთვის.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, ატარონ პირბადე და დაიცვან სოციალური დისტანცია. როგორც ცნობილია, მთავრობის გადაწყვეტილებით, იანვრის ბოლომდე გრძელდება 200-ლარიანი წახალისების ღონისძიება და იმ პირთა ასაკმა, რომლებიც თანხას კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის შემდეგ მიიღებენ, 50 წლამდე დაიწია. ამასთან, მიმდინარე კვირიდან შეიცვალა იზოლაციის და კარანტინის ვადები ვაქცინირებული, არავაქცინირებული და კოვიდგადატანილი პირებისთვის.

ამ ეტაპზე კლინიკურ სასტუმროებში იმყოფება 2 050 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ – 4 465 პირი. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

შესაძლოა, ზაფხულში ახალი შტამიც წარმოიშვას

„3 მილიონზე მეტია მსოფლიოში ყოველდღიური შემთხვევა, როცა ყველა პიკზე, რომელიც მანამდე გვქონია, იქნებოდა უჰანი, „ალფა“ თუ „ბეტა“ შტამი, ახალი შემთხვევების რაოდენობა 900 000-ს არ გადასცილებია. ერთი თვეა მივეჩვიეთ, მილიონს, მილიონნახევარს, 3 მილიონს, გაზრდილია ოთხჯერ-ხუთჯერ ახალი შემთხვევების რაოდენობა, შესაბამისად გაიზრდება ჩვენთანაც ეს. ორი მძლავრი თეორიაა, რომ „ომიკრონი“ შეიძლება პანდემიის დასრულების დასაწყისი გახდეს და მეორე თეორიაა, რომელსაც ჯერჯერობით მხარს უჭერენ, რომ უნდა ვიყოთ ფრთხილად.

ივლისისთვის მოსახლეობის 75% თუ არ იქნა აცრილი, რაც არის ჯანმო-ს სამიზნე, არაიმუნურ ფენაში შესაძლებელია ისევ ახალი შტამი წარმოიშვას. ახალი შტამის გაჩენის ალბათობა სწორედ არაიმუნურ ფენაში გახლავთ“, – განაცხადა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

მთავრობა ვაქცინაციის გეგმის განახლებულ ვარიანტზე მუშაობს

„წახალისების მექანიზმი ეფექტურად მუშაობდა. მიდის მსჯელობა და მუშავდება ვაქცინაციის გეგმის განახლებული ვარიანტი. ამ კვირაში კიდევ იქნება დამატებითი კონსულტაციები. მოგეხსენებათ, იანვრის ბოლომდე წახალისების სქემა მოქმედებს. გვექნება კიდევ დამატებით შეთანხმება როგორ უნდა გაგრძელდეს წახალისება, როგორც პირველ და მეორე დოზებზე, ასევე „ბუსტერის“ კუთხით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმულებში, სამედიცინო პერსონალსა და სხვა რისკ ჯგუფებში“, – აცხადებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია.

ანაკლიაში ანკარები გამოჩნდნენ

ველური **ბუნების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ველური ბუნების ბინადარი ჩვეულებრივი ანკარა ანაკლიაში შენიშნეს.**

ჩვეულებრივი ანკარა – Grass snake (Natrix natrix) მკვეთრად განსხვავდება სხვა გველებისაგან კარგად შესამჩნევი, თავის უკანა ნაწილის ორივე მხარეს არსებული ყვითელი, სტაფილოსფერი ან ჭუჭყიანი-თეთრი ორი ლაქით. ლაქას გააჩნიათ ნახევარმთვარის ფორმა და ბოლოვდება ორივე მხარეზე შავი ზოლით.

ამ გველების საცხოვრებელი ადგილი ნესტიანია. ბინადრობენ ძირითადად მდინარეების, ტბების, ჭაობების, სარწყავი არხების ან წყალსაცავების ახლოს; ნესტიან ტყეებში; ბუჩქოვან მინდვრებში. იშვიათად გვხვდებიან ღია სტეპებში და უტყეო მთებში. არც თუ ისე იშვიათად ცხოვრობენ ბოსტნებში, ბაღებში, შინაური ცხოველების სადგომებთან და ზოგიერთ საყოფაცხოვრებო ნაგებობაში. გაზაფხულზე და შემოდგომაზე, როდესაც ნიადაგი ნესტიანია, გველები წყლიდან მოშორებით მიდიან და სახლდებიან ხეების ფესვების ქვეშ, ქვებში, მღრღნელების სოროებში, ხის ნაპრალებში და სხვა. იშვიათად სარდაფებში და ნაგვის გროვებში.

ნათლისღება - წყალკურთხევა

გაცხადება უფლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენის იესო ქრისტესი

19 იანვარს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საუფლო დღესასწაულს — ნათლისღება-წყალკურთხევას ზეიმობს, 20 იანვარს — წმიდა დიდებულისა იოანე ნათლისმცემლის კრებას.

...მაცხოვარმა ჩვენმა — იესო ქრისტემ კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და „ხატი მონისა“ მიიღო ნათლისმცემლის ხელით, იორდანეშიც მოინათლა. ამით მან ნათლისღების აუცილებლობა ასწავლა ყველას. ამ დროს ცა გაიხსნა და სიწმინდის, მოკრძალებისა და მტრედის სახით ერთგულების სიმბოლო — სულიწმინდის მადლი (სულიწმინდა) მათზე გადმოვიდა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავი“... მამის ხმაც გაისმა — მაცხოვრის ღვთაებრიობა წმიდა სამების გაცხადებამ დაამოწმა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ იესო ქრისტე წყლიდან გამოსვლის შემდეგ იორდანეს უდაბნოში განმარტოვდა, რათა ლოცვით და მარხვით წინასაუკუნეთა მიერ მისთვის განსაზღვრული საქმისთვის — კაცობრიობის ხსნისთვის მომზადებულიყო. 40 დღე და ღამე გაატარა მან ამ ველურ ადგილებში, სადაც მაცდური ეშმაკი დაამარცხა და სულიერად ძლიერი, მოწაფეებისა და ხალხის თანხლებით დაბრუნდა ყოვლადწმინდა დედასთან...

იესო ქრისტემ იგრძნო, რომ ამ ქვეყნად მისი მოვლინება ზეციური მამის განგებით მოხდა! ასევე მან იგრძნო, რომ ის მამის ნების აღმსრულებელია... წყალკურთხევა (დიდი აიაზმა) დედაეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა... ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს!

გიული ლიპარტია

103 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ გაღასარჩენია!

იყიდეთ, გამოიწერეთ! ეს ყოველდღიური საუკუნოვანი გამოცემა!

ხელმოწერისთვის მიმართეთ:

„ელვა.ჯი“, www.elva.ge; ტელ: 23822673; 2 382674; 577991651; 595 382626; „პლანეტა ფორტეს“ – 2 92 18 59; 599 947 311; 579 79 99 08;

მოგვმართეთ რედაქციაში, ვაჟა ფშაველას 48
ტელ: 599 797 679; 599 36 00 35;
ელ: ფოსტა: sakresp@mail.ru. sakresp@top.ge

ინდონეზიის ახალი დედაქალაქი

ინდონეზიის ახალ დედაქალაქს, რომელიც კუნძულ კალიმანტანის სამხრეთ-აღმოსავლეთით აშენდება, გადაწყდა, რომ დაერქვას ნუსანტარა, რაც თარგმანში „არქიპელაგს“ ნიშნავს. ახალი დედაქალაქი ბორნეოს კუნძულის აღმოსავლეთით, კალიმანტანის პროვინციაში, ქალაქ სამარინდასა და საპორტო ქალაქ ბალიკპაპანს შორის, გაშენდება.

მშენებლობის დაწყებას ხელი პანდემიამ შეუშალა. ინდონეზიის ხელისუფლება იტყობინება, რომ პროექტის განახლება ორ წელიწადში იგეგმება. ინდონეზიის პრეზიდენტმა ჯოკო ვიდოდომ ქვეყნის დედაქალაქის ჯაკარტიდან სხვა ქალაქში „გადატანის“ განზრახვის შესახებ ჯერ კიდევ 2019 წელს განაცხადა.

ვიდოდოს განცხადებით ქვეყნის ახალი დედაქალაქი ბორნეოს კუნძულზე ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა რეგიონში აშენდება. ახალი დედაქალაქის გვერდით კი ეროვნული პარკი იქნება რომელშიც გორილების იშვიათი სახეობა ბინადრობს.

პრეზიდენტ ვიდოდოს თქმით, სამწლიანმა ინტენსიურმა კვლევამ კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილი, კალიმანტანის პროვინცია დედაქალაქისთვის იდეალურ მდებარეობად მიიჩნია. ექსპერტები აცხადებენ, რომ ახალი დედაქალაქი დაცული იქნება ინტენსიური მიწისძვრებისა და წყალდიდობისგან. დედაქალაქის მშენებლობა 10 წელს გაგრძელდება და სავარაუდო წინასწარი ღირებულება 32 მილიარდი ამერიკული დოლარი იქნება, აქედან ინვესტირება მხოლოდ 19 პროცენტია. ჯაკარტა ინდონეზიის დედაქალაქი და ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქია. იგი ინდონეზიის მთავარი საპორტო ქალაქი და კომერციული ცენტრია.

წყნარ ოკეანეში ცუნამი აბოხოქრდა

ახალმა ზელანდიამ და ავსტრალიამ კუნძულოვან სახელმწიფო ტონგას მიმართულებით თვითმფრინავები გააგზავნა, რათა წყალქვეშა ვულკან ხუნგა-ტონგა-ხუნგა-ტააპაის ამოფრქვევისა და ამის შედეგად წარმოქმნილი ცუნამის მიერ მიყენებული ზიანი შეაფასოს.



წითელი ჯვრის წარმომადგენლის განცხადებით, ზიანი შესაძლოა 80 000-მდე ადამიანს შეხებოდა.

ვულკანის ამოფრქვევა ეპიცენტრიდან ათასობით კილომეტრზე შეიგრძნეს. ცუნამიმ დაარტყა იაპონიას, წარმოქმნილმა ტალღებმა აშშ-ის დასავლეთ სანაპირომდეც მიაღწია ხოლო ქუხილის ხმა ალიასკაშიც გაიგეს. კუნძულ სიკოკუზე ცუნამიმ 10 გემი გადააბრუნა. წყნარი ოკეანის კუნძულები ცუნამის შედეგად ელეტროენერგიის გარეშე დარჩნენ. ჯერჯერობით მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. ექსპერტების განცხადებით, ეს ვულკანის ყველაზე მძლავრი ამოფრქვევაა უკანასკნელი 30 წლის მანძილზე.

პოლიეთილენის ჩანთა იშვილა...

ანჯელა კლარკისთვის მისი პოლიეთილენის ჩანთები თავისი „შვილები“ არიან, დიახ სულაც არ მოგესმათ, სწორედ ასე უწოდებს საკუთარ კოლექციას ზემოთ აღნიშნული პიროვნება.

ანჯელა უელსიდანაა და ის პოლიეთილენის ჩანთებს უკვე 40 წელიწადია აგროვებს. ეს საქმიანობა მან 11 წლის ასაკში დაიწყო.

მის კოლექციაში უნიკალური ნიმუშების ნახვაა შესაძლებელი მრავალი თემატიკით. 55 წლის ანჯელა საქმიანობის გაგრძელებას სიცოცხლის ბოლომდე გეგმავს. ის ამბობს, რომ მისი კოლექცია ისტორიას ინახავს და ბევრ რამეს ყვება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 20 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0811; ევრო - 3.5183;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2162;
100 რუბლი - 4.0213; თურქული ლირა - 0.2271;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8151;
1000 სომხური დრამი - 6.4089.

ამინდი 19 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-8,	დღე	+4
მთიანი რაიონები -	ღამე	-11,	დღე	+1
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+1
თბილისი:	ღამე	-3,	დღე	+3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge